გაზეთი ბეჭდავს, „ეროვნული ენერგია"

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№16 (1042) 13 - 15 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ამერიკა დილემის წინაშეა, ევროპა ფინანსურ ზარალს ითვლის, უკრაინა ომის ზღვარზეა – რა ელის საქართველოს

გვ. 5

რამ გააღლომგულა ირაკლი აღასანია?!

ირაკლი აღასანიას ნათესაურ-ვლანური საკადრო პოლიტიკა და კეზერაშვილ-ახალაიას კადრები თავდაცვის სამინისტროში

გვ. 3

მერიის რომელ მაღალჩინოსნებს შეიწირავს ჯოკია ბოდოკიას საქმე

გვ. 4

ვინ არის თავნება და მატყუარა და ვინაა რელსებს აცდენილი – დიდი დაპირისპირება უმრავლესობაში

გვ. 7

უზენაეს სასამართლოს სახელი გადაერქმევა?

„ალაჟენცების" ბოგინის დასასრული ზონაზე

გვ. 8

ბანდიტების ლიდერები

„აი პი ემ ტერმინალსი" ფოთის საზღვაო ნავსადგურს ანგრევს

გვ. 6

რა მიზნით აღებდა ციხის ადმინისტრაცია საკნებს ღამით და რა განაჩენი გამოუტანეს „ქურდებმა" ნომერპირველ პატიმარს

შინაგან საქმეთა მინისტრი აშშ-სა და ისრაელის ელჩებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ რიჩარდ ნორლანდს და მის მრჩეველ ჯულია ტომპსონს შეხვდა. შეხვედრა გაცნობითი ხასიათის იყო. მხარეებმა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტსა და შსს-ს შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში საზღვრის მართვისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით შსს-ს მიერ გატარებული რეფორმები და მიღწეული პროგრესი განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა და რიჩარდ ნორლანდმა ასევე ისაუბრეს მიმდინარე და სამომავლო პროექტებსა და გეგმებზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შეხვდა ისრაელის სახელმწიფოს ელჩ იუვალ ფუქსთან შეხვედრაც გაცნობითი ხასიათის იყო. საქართველოს შს მინისტრმა ისრაელის სახელმწიფოს ელჩს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე რეფორმები და ინიციატივები გააცნო.

მხარეებმა საქართველოსა და ისრაელს შორის სამართალდაცვით სფეროში არსებული თანამშრომლობა და თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობები განიხილეს. ვახტანგ გომელაურმა და იუვალ ფუქსმა ასევე ისაუბრეს ისრაელის მხარესთან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის, შეთანხმების საფუძველზე შექმნილი თანამშრომლობის პროგრამისა და მის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებების შესახებ.

მინისტრმა ისაუბრა ისრაელის მხარდაჭერაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარების კუთხით და ამ პროცესში ისრაელის პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ატაშეს როლის შესახებ.

„ვერსიანიუსი“

პრემიერმა მთავრობას ეკონომიკურ ტენდენციებზე მოსახლეობის ინფორმირებულობისკენ მოუწოდა

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისგან ეროვნული ბანკის მიერ ინტერვენციის მოხდენაზე ინფორმაცია მოისმინა.

ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განხორციელების და მისი ინსტრუმენტების გამოყენების ექსკლუზიური უფლება აქვს, რაც გამოიყენა კიდეც: **„ბანკი ფლობს ოპერატიულ ინფორმაციას, რა მდგომარეობაა სავალუტო ბაზარზე და აქედან გამომდინარე მიიღო მან ეს გადაწყვეტილება. ჩვენ წინასწარ გვქონდა ინფორმაცია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ბანკი ამ ინსტრუმენტებს გამოიყენებდა. ჩვენ ამას ვერ შევაფასებთ, რადგან ეს ინფორმაცია კონკრეტულად ბანკს გააჩნია“.**

ეკონომიკის მინისტრის შეფასებით, რეფინანსირების განაკვეთის მცირეოდენი ცვლილებაც ამ ვითარებაში ადეკვატური ნაბიჯია: **„მან გარკვეულწილად სავალუტო ბაზარი დაასტაბილურა, რაც გაცვლით კურსში აისახა კიდეც. რაც შეეხება ფუნდამენტურ საკითხებს, ამაზე მთავრობა მუშაობს შეთანხმებულად. ძირითადი მიმართულებებია მოკლევადიან რეჟიმში ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა და აქ კონკრეტულად დაგეგმილი გვაქვს ღონისძიებები მიზნობრივ ბაზრებზე“.**

კვირიკაშვილისვე თქმით, ექსპორტის წახალისების კუთხით რამდენიმე ცნობილი საერთაშორისო ექსპორტის წამახალისებელი ინსტიტუტის წინადადებები განიხილეს. სამინისტრო სავარაუდოდ, ერთ-ერთზე შეჩერდება: **„აპრილის შუა რიცხვებამდე ვგეგმავთ საპარტნიორო ფონდის ბაზაზე ექსპორტის წამახალისებელი ერთეულის ფუნქციონირება დაინერგოს, ანუ ამუშავდეს. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებას. ამას გარდა, ჩვენ კიდევ სხვა ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი, როგორიცაა სამშენებლო სექტორის წახალისება. ვფიქრობ, ეს ასევე დადებით შედეგს გამოიღებს. ექსპორტის მაჩვენებლებში გასული წლის ბოლოს და ამ წლის დასაწყისში დეფიციტია, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი ღონისძიებების შედეგად ეს ეფექტი მინიმიზებული იქნება და მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში არსებულ სიტუაციას გამოვასწორებთ და დავაბალანსებთ“.**

თავის მხრივ, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა აღნიშნა, ეროვნულ ბანკთან არსებობს შეთანხმება, რომ მონეტარული და ფისკალური პოლიტიკები უნისონში განხორციელდეს, რათა გადადგმული ნაბიჯები თანმიმდევრული იყოს: **„ამით ხელი უნდა შევუწყოთ მოკლევადიან პერიოდში სტაბილურობას და ინფლაციის თავიდან არიდებას. ამავე დროს, ჩვენ, ეკონომიკის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და შესაბამისი უწყებები ვმუშაობთ, რათა ეკონომიკური ზრდის პროცესი იყოს შეუქცევადი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროგნოზი რეგიონში ყველაზე მაღალია, ცხადია, ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი ამბიცია და მეტი საჭიროებაც გვაქვს“.**

პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ მთავრობას არ უნდა დაავიწყდეს ის, რაც მსოფლიოში და განსაკუთრებით რეგიონში ხდება: **„რა თქმა უნდა, ეს ჩვენს ეკონომიკურ ვითარებაზე აისახება და ჩვენ შესაბამისად უნდა დავგეგმოთ მიმდინარე წელი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მეტი კომუნიკაცია გვქონდეს ხალხთან. მოსახლეობას უნდა ავუხსნათ ის ტენდენციები, რაც უახლოეს მომავალში გამოიკვეთება. მათ წინასწარ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია. ამისკენ მინდა ყველას მოგიწოდოთ“.**

„პირველი“

15 თებერვლიდან ქართულ ჯარს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“ მოემსახურება

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფის“ უმთავრესი პრიორიტეტი მუშა პროცესების ეფექტური მართვა და ქართულ ჯარში კვების ხარისხის მაქსიმალურად ამაღლება იქნება. „ქართული კვების კომპანიის“ დირექტორი მირანდა მანჯგალაძე აცხადებს: **„ჩვენ დიდი ხანია ვმუშაობთ ამ ცვლილებაზე. ჯარისკაცებს არ შეექმნებათ არანაირი პრობლემა. პირიქით, მათთვის უფრო გაუმჯობესდება სერვისი — ჯარისკაცი მიიღებს უფრო გაუმჯობესებულ კვების ხარისხს, სერვისის, უვნებლობისა და საგემოვნებო კუთხით. 2015 წლის 14 თებერვლის ჩათვლით „ქართული კვების კომპანიას“ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თავდაცვის სამინისტროსთან. ვინაიდან იწურება ამ ხელშეკრულების ვადა, ყველა თანამშრომელს ავტომატურად უწყდება ხელშეკრულება. „ქართული კვების კომპანიას“ არანაირი შემცირება არ განუხორციელებია, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია 300 ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება“.**

მისი თქმით, ბოლო 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომელთა სამუშაო პროცესზე დაკვირვება. შპს „ქართული კვების კომპანიის“ თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა შეინარჩუნებს სამუშაო ადგილს კიდევ უფრო გაუმჯობესებული პირობებით. მირანდა მანჯგალაძის განმარტებით, 15 თებერვლიდან ქართულ ჯარს მოემსახურება „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“, რომლის ასპროცენტიანი წილის მფლობელი იქნება სახელმწიფო. მირანდა მანჯგალაძის თქმით, ეს იქნება რებრენდინგი ბაზარზე, ეს იქნება სხვა სუბიექტი, რომელსაც აქვს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, ჩატარებული აქვს დეტალური ანალიზი იმისა, თუ რომელმა სტრუქტურულმა ერთეულმა რა ამოცანა უნდა შეასრულოს: **„ქართული კვების კომპანიის“ ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ჩემი მისია გახლდათ შემესწავლა არსებული საკადრო რესურსი და გაუმჯობესებული მეთოდით, ნატოსთან მიახლოებული სტანდარტებით, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად განგვეხორციელებინა რეფორმები. ეს მოიცავს ტრენინგებს, სწავლებას, უვნებლობის ღონისძიებებს, პერსონალის გადამზადებას როგორც დისლოცირებულ ბაზებზე, ასევე ადმინისტრაციაში. იქმნება ტრენინგცენტრი და ადამიანები უფრო მაღალი კვალიფიკაციით მოემსახურებიან ქართულ ჯარს. მოხდება ჩვენი თანამშრომლების გადამზადება, რის შედეგადაც მოიმატებს მომსახურების ხარისხი. „ქართული კვების კომპანიაში“ დასაქმებულთა რაოდენობა რჩება იგივე. რაც შეეხება „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფას“, ეს არის ცალკე სუბიექტი, რომელსაც აქვს თავისი ინსტიტუცია, თავისი სტრატეგია და ტაქტიკა, ორგანიზაციული სტრუქტურა და დებულება, რომლის შესაბამისადაც ეს კომპანია ქართული ჯარის კვებით უზრუნველყოფას განახორციელებს“.**

„პირველი“

„მედიის თავისუფლების კუთხით საქართველოში ვითარება გაუმჯობესდა“

ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით ვითარება გაუმჯობესდა. საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ დასკვნის მიხედვით, 2015 წელს, საქართველო ამ მხრივ 180 ქვეყანას შორის 69-ე ადგილს იკავებს, მაშინ როცა 2014 წელს 84-ე, ხოლო 2013 წელს 100-ე პოზიციაზე იყო.

ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, პირველ ხუთეულში მედიის თავისუფლების მხრივ ფინეთი, ნორვეგია, დანია, ნიდერლანდები და შვედეთი შედის, ბოლო ადგილზე კი ჩრდილოეთ კორეა და ერითრეა დასახელდა.

კვლევის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით მედიის თავისუფლების მხრივ ვითარება წელს გაუარესდა, რაც ექსტრემისტული დაჯგუფებების „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ბოკო ჰარამის“ გააქტიურებას უკავშირდება.

„პირველი“

დავით შავლიაშვილი ახალი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, არასახიფათო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების მართვის უზრუნველსაყოფად ახალი სამთავრობო კომისია შეიქმნა.

კომისიის ძირითადი ამოცანებია: არასახიფათო მუნიციპალური ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა-მართვის უზრუნველსაყოფად, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის პირობების შემუშავება; შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; წარდგენილ განაცხადთა განხილვა და შეფასების შედეგად საუკეთესო კანდიდატის გამოვლენა.

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ განახორციელებს. სამართლებრივი აქტი წლის ბოლომდე შემუშავდება.

„პირველი“

რუსეთის სამედიცინო დაზღვევის პოლისი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე იმოქმედებს

დე ფაქტო აფხაზეთის ე.წ. ჯანდაცვის მინისტრმა ანძორ გოოვმა განაცხადა, რომ **„ჯანდაცვის პოლისის დანერგვა აფხაზეთისა და რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროების უწყებათაშორისი შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია“.**

მისივე თქმით, ე.წ. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ აფხაზეთიდან პაციენტები რუსეთში სამედიცინო მომსახურების მიღებას შეძლებენ.

სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. მინისტრმა აღნიშნა, რომ სადაზღვევო პოლისის გაცემის მექანიზმი მას შემდეგ შემუშავდება, რაც რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროსთან შესაბამის ე.წ. შეთანხმებას ხელი მოეწერება.

რუსეთის პრეზიდენტმა შარშან ნოემბერში ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტთან ე.წ. სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტი გააფორმა. აღნიშნულ დოკუმენტს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ოკუპირებული რეგიონის ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

„პირველი“

რამ გაალომგულა ირაკლი ალასანია?!

ლაშა დვალი

„ალასანია გალომგულდა, ან დიდი ფული იშოვა, ან პოლიტიკური გარანტიები მიიღო!“ — ირონიით აფასებენ პოლიტიკურ კულუარებში თავისუფალი დემოკრატების ლიდერის ბოლოდროინდელ განცხადებებს ისინი, ვისაც მისი პოლიტიკური ბეგრაუნდი კარგად ახსოვს. — „მე მზად ვარ, დებატებში დავსხდეთ და საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია, თუკი მას აქვს ხელთ არგუმენტები და აქვს თავმოყვარეობა!“

ალასანიამ იცის, რომ ივანიშვილი მკაცრად რეაგირებს, როცა ღირსებასა და თავმოყვარეობას ეხებიან... ისიც იცის, რომ მისი 1-პროცენტიანი რეიტინგი კვლავ 1 პროცენტია, ჰა და ჰა, ერთ წელიწადში 2 გახდეს... ზუგდიდსა და სრულიად სამეგრელოშიც კვლავ ისეთი კრახით დაასრულებს არჩევნებს, როგორც მერის არჩევნები წააგო რესპუბლიკელებთან და ახლებთან კოალიციაში... მოკლედ, ყველაფერი იცის და ამიტომაც ზრდილი და დიპლომატიურ მანერებს ჩვეული ალასანია თავდასხმაზე გადადის, რადგან თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა. თავდასაცავი კი ნამდვილად აქვს — ყოველდღიურად ჩნდება ინფორმაცია იმის შესახებ, რა პროცესები მიმდინარეობდა ხელისუფლებაში 2012 წლის არჩევნების შემდეგ. ასევე ყოველდღიურად ქვეყნდება სიები იმ ადამიანებისა, რომელსაც ნათესაურ-კლანური თუ ნაცნობ-მეგობრობის და არა პროფესიონალიზმის ნიშნით სხვადასხვა თანამდებობებზე ნიშნავდნენ. სწორედ ამ ტენდენციამ გამოიწვია ის სისტემური შეცდომები, რამაც უკვე დღეისთვის იჩინა თავი. ოპოზიციაში გადასული ალასანია და თავისუფალი დემოკრატები „გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას“ პრინციპით მოქმედებენ და ისე იქცევიან, თითქოს სულ რაღაც ორიოდე თვის წინ თავად არ იყვნენ პასუხისმგებელნი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პოლიტიკური სპეკულაციებით დაღლილმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პირველი ღია შეფასება გააკეთა და განაცხადა — თავდაცვის სამინისტროში წლების განმავლობაში დავით კეზერაშვილისა და ბაჩანა ახალაიას კადრების დაწინაურება ხდებოდა. ამ მხრივ, ცვლილებების განხორციელება მინდია ჯანელიძემ დაიწყო, რასაც ხელისუფლება მიესალმება. განცხადების გაკეთებისთანავე, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას გუნდის მხრიდან აგრესია წამოვიდა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო. თუმცა დღეს ოპოზიციაში გადაბარგებულ თავისუფალ დემოკრატებს აღარ უნდათ იმის გახსენება, რაც თავდაცვის სამინისტროში ხდებოდა. ის, რომ ალასანია არამარტო კეზერაშვილისა და ახალაიას კადრებს, არამედ საკუთარ ნათესავებსაც სწყალობდა, პრესა ამის შესახებ ბატონი ირაკლის მინისტრობისასაც აქტიურად წერდა.

ჯერ კიდევ „კაბელების“ გახმაურებულ სკანდალამდე რამდენიმე ხნით ადრე, „ვერსიაში“ გამოქვეყნდა პუბლიკაციაბრალდება სათაურით „კეზერაშვილის ბიჭების პორტრეტი ახალ ხელისუფლებაში“, სადაც დატერორებული ბიზნესმენი პაატა კაჭარავა, რომელსაც ნაციონალებმა 2006 წელს ქონება წაართვეს, ღიად აცხადებდა, რომ ადამიანი, რომელიც მაშინ მის საქმეს იძიებდა, დღეს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსია და მას ირაკლი ალასანია მფარველობს! საუბარი იყო კოტე ყიფიანზე. მაშინ ეს ფაქტი თავდაცვის სამინისტროსა და „ვერსიას“ შორის განხეთქილების მიზეზად იქცა, ხოლო იმის გამო, რომ პუბლიკაცია იქ, ზემოთ, ყურსიქით გაატარეს, სამინისტრო და მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურები კი მინისტრის სანათესაოსა და საძმაკაცოს საძოვრად იქცა. სანამ „თავისუფალი დემოკრატები“ ჩვენს განცხადებასაც არაკვალიფიციურს უწოდებდნენ, ვისარგებლებთ ალასანიასა და მისი კოალიციის მიერ 2012 წლის არჩევნების შედეგად მიღებული თავისუფლებითა და ნანატრი დემოკრატიით, ღრმად ამოვისუნთქებთ და რამდენიმე ფაქტს კიდევ შემოგთავაზებთ, რომელიც ინტერნეტ და ბეჭდვურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციების საფუძველზე მოვიძიეთ:

ირაკლი ალასანიას მეგობარი, დავით როგავა (რომელიც ერეკლე კოდუას ყოფილი მოადგილე გახლდათ) 2014 წელს ალასანიამ დაზვერვის დეპარტამენტში ერთ-ერთ თანამდებობაზე დანიშნა. მინისტრმა არც ნათელმირონობა დაივიწყა და ნათლიის, დავით ნარსიას და — ელისო ნარსია თავდაცვის სამინისტროში დაასაქმა. ამბობდნენ, რომ ალასანიას ინტერესებს მისი ბიძაშვილი, ნიკოლოზ ანდღულაძე ატარებდა და სწორედ ანდღულაძის ძმაკაცი გახლდათ ჩვენი ნაცნობი კოტე ყიფიანი (დავით კეზერაშვილი გარემოცვის წევრი), რომელიც 2013 წელს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა. ასევე ანდღულაძის ძმაკაცს, გიორგი როგავას 2013 წელს კომპანია „ქართული კვების“ დირექტორის პოსტი ჩააბარა, ხოლო მოადგილედ ცოლის მეჯვარე, ეკა ხურციძე დაუნიშნა. ისე, ინფორმაციისთვის, „ქართულ კვებას“ ჩვენი ჯარისკაცების გამოკვება ავალია, თუმცა ისევ ანდღულაძის სამეგობროს დავუბრუნდეთ და აქვე გეტყვით, რომ გავრცელებული ინფორმაციით, თებერვლიდან კომპანიას კონტრაქტი შეუწყდება და მას სავარაუდოდ, სხვა კომპანია ჩაანაცვლებს... კიდევ ერთი მიზეზი თავდასხმისა!

ნიკოლოზ ანდღულაძის კიდევ ერთი ძმაკაცი, გიზო ღლონტი თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა (შეგახსენებთ, რომ ღლონტი ამჟამად ე.წ. კაბელების საქმეზეა დაკავებული). ასევე ანდღულაძის თხოვნით, თავდაცვის სამინისტროს სატენდერო სამსახურებში და შესყიდვების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ ანდღულაძის მეგობრები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ პირადად მის თხოვნებს და, პირდაპირი შესყიდვის წესით, კონკრეტულ ფირმებთან დებდნენ ხელშეკრულებებს. ისიც სათქმელია, რომ კომპანია „ქართული კვება“-ს დირექტორი გიორგი როგავა კონკრეტული პროდუქტების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერებში სისტემატიურად ითვალისწინებდა ანდღულაძის ინტერესებს. ამბობენ, რომ ბატონი ირაკლის ხელშეწყობით, ალასანიას ნათლიის, დავით ნარსიას ერთ-ერთმა მეგობარმა 2013 წელს მოიგო „ლიმონათის“ ტენდერი კონკრეტულ სამხედრო ბაზებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, ბატონმა ირაკლიმ არც საკუთარი საძმაკაცო დაივიწყა. ბავშვობის ძმაკაცი — გიორგი არაბიძე 2013 წელს დანიშნა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში სამმართველოს უფროსად, ხოლო ასევე ბავშვობის ძმაკაცი გიორგი ხომასურიძე იმავე 2013 წელს თავდაცვის სამინისტროს მთავარ სპეციალისტად მიავლინა. ექსმინისტრის პირადი დაცვის წევრები არასოდეს მალავდნენ, რომ დასაცავ ობიექტთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ და არც არავის გაკვირვებია, როცა პირადი დაცვის ყოფილი უფროსი კახაბერ ჩიხრაძე 2013 წელს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა. ასევე არავის გაკვირვებია კიდევ ერთი დაცვის ყოფილი წევრის, დიმიტრი კიკნაძის დანიშვნა თავდაცვის სამინისტროს სპეცრაზმის უფროსად.

ალასანიამ არც თანაშემწეები დატოვა უყურადღებოდ და ირაკლი მამფორია 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად დააწინაურა. ისე როგორ იქნებოდა, პარტიული ნიშნით დაჩაგრულიყო ვინმე — პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი არჩილ ჭანტურია, 2012 წლის ნოემბერში, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა. მოგვიანებით, ჭანტურია თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილედ გადაბარგდა. პარტიისავე რეგიონული სამსახურის ყოფილი უფროსი გიორგი ჩიქოვანი 2013 წელს ეროვნულ გვარდიაში ერთ-ერთ თანამდებობაზე დანიშნა. „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისის მენეჯერმა ქეთი ერისთავმა 2013 წელს სამხედრო პოლიციაში მთავარ სპეციალისტად დაიწყო მუშაობა, ხოლო პარტიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამშრომელმა შმაგი კოპაძემ პარტიული საქმიანობიდან 2012 წელს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის პოსტზე გადაინაცვლა.

ბატონ ირაკლის არც ახალგაზრდების დაწინაურება დავიწყებია და პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტიური წევრი გიორგი ხურციძე კომპანია „ქართულ კვებაში“ დაასაქმა. სხვათა შორის, როცა ვინმე სანდრო ქირია 2014 წელს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსად დანიშნა, ყველას გაუკვირდა, უცხო კაცი იქ საიდან მოხვდაო, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ბატონი სანდრო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარის, ირაკლი ჩიქოვანის ძმა გახლავთ და, უბრალოდ, დედის გვარზეა.

რაც შეეხება კეზერაშვილისა და ახალაიას საძმაკაცოს. 2012 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანია დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, მან მთელი 1 წლის განმავლობაში თანამდებობაზე დატოვა გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსი ზაზა მჭედლიძე და დაზვერვის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ლევან გაბუნია. აღნიშნული პიროვნებები ფიგურირებენ სერგო თეთრაძის საქმეში და ეს მაშინ, როცა თავად ალასანია აცხადებს, რომ მისვლის პირველივე დღიდან თეთრაძის საქმეში მონაწილე ათი პირი სამსახურის გარეშე დატოვა. არადა, სწორედ მჭედლიძისა და გაბუნიას გამო, თეთრაძის ოჯახი ალასანიასგან კატეგორიულად ითხოვდა აღნიშნული პირების თანამდებობიდან გათავისუფლებას.

2013 წლის ოქტომბრის ბოლოს თეთრაძის ოჯახის და ადვოკატის კატეგორიული მოთხოვნით, ალასანიამ „გაბედა“ და კადრების განკარგულებაში აიყვანა მჭედლიძე და გაბუნია, თუმცა მოგვიანებით, მჭედლიძემ ისევ განაგრძო მუშაობა თავდაცვის სამინისტროში.

ე.წ. მუხროვანის ამბოხის ვიდეოჩანაწერში, როცა ვანო მერაბიშვილი ამბობს, რომ მას უნდა „ორი გვამი“, კადრში ჩანს მაშინდელი სახმელეთო ჯარების სარდალი გენერალი დავით ნაირაშვილი, რომელიც ე.წ. მუხროვანის ამბოხის დროს ხელმძღვანელობდა სპეციალურად შექმნილ საგანგებო შტაბს. 2014 წელს, როცა აღნიშნული ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, გენერალ ნაირაშვილს დიდ ბრიტანეთში სამხედრო ატაშეს თანამდებობა ეკავა. ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, პროკურატურას სურდა, გენერალი ნაირაშვილი სკაიპით დაეკითხა, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც იყო ალასანია. ბატონი ირაკლი ამბობდა, რომ გენერალ ნაირაშვილს არანაირი ბრალი არ მიუძღოდა ამ საქმეში და ამიტომ აუცილებელი არ იყო მისი დაკითხვა. რამდენიმე თვის შემდეგ თავდაცვის სამინისტროში ალასანია პირადად შეხვდა გენერალ ნაირაშვილს და უთხრა, ჩვეულებრივად გაეგრძელებინა საქმიანობა.

თავდაცვის სამინისტროს კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ თავდაცვის ექსმინისტრმა ძველი თანამებრძოლები დაივიწყა, თორემ პოსტს შესანიშნავად იყენებდა საკუთარი ნათესავ-მეგობრებისთვისო და იხსენებენ დავით ნარსიას საქმეს — საქმე ის გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალასანიას ნათლია დავით ნარსიაზე აღიძრა საქმე ზოოპარკის დირექტორად მუშაობის პერიოდში მის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების მითვისების ბრალდებით. ნარსიაზე ძებნა გამოცხადდა და მიმალვაში მყოფმა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ნათლულს სთხოვა დახმარება, მისი ხელშეწყობით დაბრუნდა საქართველოში, თუმცა მოგვიანებით ნარსია პროკურატურამ დააკავა. ალასანიამ მაშინდელ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს და მის მოადგილეს ლაშა ნაცვლიშვილს სთხოვა აღნიშნულ საქმეში დახმარება, რის შემდეგაც პროკურატურის მოთხოვნით სასამართლომ ნარსიას 20 000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

რომ გითხრათ, სულ ეს იყო თქო, მაინც არ დაიჯერებთ და რეალურად, რაც მალე დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი, მით უკეთესი. ისე კი, საინტერესოა, ოდესმე თუ დადგება დრო ქართულ პოლიტიკაში, როცა ოპოზიციაში გადაბარგება ყველაფერს არ ჩამოწერს?

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

მერიის რომელ მაღალჩინოსნებს შეიწირავს ჯოკია ბოდოკიას საქმე







თბილისის მერი დავით ნარმანია ახალ სკანდალში გაეხვია — შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსი, 1972 წელს დაბადებული ჯოკია ბოდოკია დააკავეს. სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსმა ჯოკია ბოდოკიამ ერთ-ერთი კერძო კომპანიის წარმომადგენელს სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემაში დახმარებისა და მშენებლობისას მფარველობის სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა სასტუმროს მშენებლობის ღირებულების 10% – 180 000 აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ ქრთამის სახით აიღო მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 50 000 აშშ დოლარი. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს". „ვერსია" შეეცადა გაერკვია, რომელ კომპანიაზეა საუბარია? თბილისის რომელ რაიონში და რა სასტუმრო შენდება? პასუხისმგებელია თუ არა კორუფციული გარიგების მეორე მხარე ანუ თავად ქრთამის მიმცემი და საერთოდ, ზედამხედველობის სამსახურის აპარატის უფროსს ხელი მიუწვდება თუ არაარქიტექტურული ნებართვის მოპოვებასთან?

კორუფციული გარიგების მონაწილე კომპანიის ან პირის შესახებ მონაცემებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შსს ასაიდუმლოებს. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასტუმრო, რომლის შესახებაცაა საუბარი, სავარაუდოდ „მწვანე ბუდაპეშტია". „ვერსია" დაუკავშირდა საერთაშორისო ჰოლდინგ „მაქრო ქონსთრაქშენის" პრესსამსახურს, რომელიც თბილისში „მწვანე ბუდაპეშტის" სახელწოდებით საცხოვრებელ სახლებს აშენებს. მათი ინფორმაციით, ჰოლდინგი „მაქრო ქონსთრაქშენი" ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია საქართველოში და აერთიანებს შვილობილ კომპანიებს, სხვადასხვა მიმართულების საწარმოებსა და პროექტებს. ისინი დღეისთვის, მართლაც, აშენებენ ოთხვარსკვლავიან, ევროპული სტანდარტების სასტუმროს გორგასლის ქუჩაზე, რომლის ღირებულება დაახლოებით 45 მლნ დოლარია, მაგრამ ამ სასტუმროს Mercure Tbilisi ჰქვია და აცხადებენ, რომ ბოდოკიას დაკავების ფაქტთან შეხება არ აქვთ. ასეა თუ ისე, არც მერიასა და არც საკრებულოში არ ახმაურებენ ინფორმაციას, კონკრეტული ობიექტის შესახებ, რაც გვიტოვებს იმ ეჭვის საფუძველს, რომ კომპანიამ გამოძიებასთან ითანამშრომლა და სწორედ მათი საშუალებით მოხდა ჩინოვნიკის ფაქტზე დაკავება.

გავრცელებული ინფორმაციით, 1972 წელს დაბადებული ჯოკია ბოდოკია, ბოლო ორი წლის განმავლობაში, „ქართული ოცნების" წარმომადგენელი იყო თბილისის ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიაში. იგი თბილისელია და ცხოვრობს ვაკის რაიონში. 2001-2003 წლებში მუშაობდა ფინანსთან სამინისტროში. დღის ბოლოსთვის დავით ნარმანიამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბოდოკია მისი თანაკლასელი და თანასოფლელია. ასევე არ დადასტურდა გავრცელებული ფაქტი იმის შესახებ, რომ ბრალდებულს **დავით ნარმანიას** ძმა დაიცავს: **„ჩემი ძმა პროფესიით ადვოკატია, მაგრამ ამ საქმესთან კავშირი არ აქვს. მეტსაც გეტყვით, ინტერესთა კონფლიქტის გამო, მას ვერ დაიცავს. თუ გამოძიება დაადგენს დამატებით გარემოებას, რეაგირება ადეკვატური იქნება",** — განაცხადა ნარმანიამ.

რაც შეეხება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრისა და მერობის ყოფილი კანდიდატის ნიკა მელიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჯოკია ბოდოკია ნასამართლევია, „ვერსია" შეეცადა ეს ფაქტიც გადაემოწმებინა. როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრები ირწმუნებიან, ზუსტად ახსოვთ, რომ 2010 წელს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა ბოდოკიას საქმეს დიდი ოდენობით ნარკოტიკების შენახვა-მოხმარების მუხლით.

„უბრალოდ, დავით ნარმანია არ ელოდა, რომ მისი შინაგან საქმეთა სამინისტრო ასეთ სიურპრიზს მოუწყობდა", — აცხადებს თბილისის საკრებულოში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელი **ირაკლი აბესაძე** და არ გამორიცხავს, ამ საქმეს მერიის სხვა თანამდებობის პირების დაკავება თუ არა, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა და მერიის სამსახურების შემოწმება მოჰყვეს. **„ამასთან დაკავშირებით პროკურატურას ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი მივაწოდეთ და საზოგადოება ძალიან ბევრ უსიამოვნო ფაქტს შეიტყობს!".**

ნაციონალური მოძრაობა მერიის სოციალური სამსახურის ხელმძღვანელის გელა ჩივიაშვილს დაკავების მოლოდინშია, რომელიც, მათი თქმით, ასევეა გარეული ბოდოკიას კორუფციულ სქემაში. **„ბოდოკიას კანდიდატურას იმიტომ კი არ ვაპროტესტებდით, რომ ნარმანიას უახლოესი მეგობარია. ძალიან ბევრი ადამიანია დღეს თბილისის მერიაში თანამდებობისათვის სრულიად შეუფერებელი, როგორც წარსულის სამუშაო გამოცდილებით, ზოგ შემთხვევაში იმითაც, რომ წარსულში თანამდებობრივი დანაშაული აქვს ჩადენილი. ადვილი წარმოსადგენია, რომ დავით ნარმანიას მთავრობა კრახით დაასრულებს მოღვაწეობას",** — აცხადებს „ვერსიასთან" საუბარში ირაკლი აბესაძე და აკონკრეტებს, რომ ასეთივე კატასტროფული ვითარებაა არქიტექტურის სამსახურში, — **„ნარმანია არასოდეს რეაგირებს კონკრეტულ ფაქტებზე. თუ გაირკვევა, რომ ეს მხოლოდ ჯოკია ბოდოკიას თვითშემოქმედება იყო და დადასტურდება, მას მაინც მოუწევს, გარკვეული ტიპის პასუხისმგებლობა იკისროს, თუმცა, ნაციონალური მოძრაობა არ აპირებს, პირდაპირ მერის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს".**

თბილისის მერიაში კორუფციული ფაქტები არ უკვირს დამოუკიდებელ დეპუტატს ალეკო ელისაშვილს, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ბოდოკიას დაკავება დავით ნარმანიას მიმართ ანგარიშსწორების ნაწილი იყოს: **„მისასალმებელია ანტიკორუფციულმა სამსახურმა თუ გაიღვიძა. დიდი ხანია ხმები დადის, რომ მერიაში ასეთი აღებ-მიცემობა იყო გაჩაღებული. ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩნდა, რომელ სასტუმროზეა საუბარია, მარტო იყო თუ არა ეს ადამიანი ამ კორუფციულ გარიგებაში ჩართული, იმიტომ, რომ ზედამხედველობის აპარატის უფროსი არ არის იმ დონის მოხელე, რომ არქიტექტურული ნებართვა ვინმეს გაუხერხოს და ამაში უზარმაზარი თანხა აიღოს. ბოდოკიას ადვოკატად არ ვივარგებ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ცდილობენ ნარმანიას ადგილი მიუჩინონ".**

ელისაშვილს პრეტენზია აქვს კოლეგებთანაც და აცხადებს: **„ქალაქის მთავრობა ისე რიხინ-რიხინით დავამტკიცეთ, არც ერთი კანდიდატის გამოსვლა არ მოგვისმენია ან რა კვალიფიკაცია ჰქონდათ, ან რა ხედვა. დავამტკიცეთ და მერე დაიწყო მოსმენები. მართალია, მე ხმა არ მიმიცია, მაგრამ პასუხისმგებლობას არ ვიხსნი".**

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია ჯოკია ბოდოკიას ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. 2003 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ იგი 2001-2003 წლებში ფინანსთა სამინისტროს საფინანსო სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა. ამავე წელს შევსებული დეკლარაციის თანახმად, დედამისს მანონი ბოდოკიას, თბილისში, შროშის ქუჩაზე აქვს 175 000 ლარად შეფასებული ბინა, 350 000 ლარად შეფასებული სახლი წყნეთში; 40 000 ლარად შეფასებული სასადილო; 10 000 ლარიანი საძინებელი; 11 000-ლარიანი როიალი და 50 000 ლარად შეფასებული სხვა ნივთები, რომლებიც დეკლარაციაში დაკონკრეტებული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ მანონი ბოდოკია იმ პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში პედაგოგად მუშაობდა და მისი წლიური ანაზღაურება 305 ლარსა და 54 თეთრს შეადგენდა. 2003 წელს მანონი ბოდოკიას საჩუქრად 1 090 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონი და 1 760 ლარის ღირებულების ოქროს სამაჯური აქვს მიღებული. ამავე წელს მან 11 000 ლარად ღირებული ოქროს ყელსაბამი გაასხვისა. მოკლეთ, ჯოკია ბოდოკიას ქმედების შესახებ უამრავი უპასუხო კითხვა გაჩნდა საზოგადოებაში. იმედია, გამოძიება ყველა მათგანს სათანადო პასუხს გასცემს. მთავრობის სხდომაზე ქრთამის აღების ფაქტზე თბილისის მერიის მაღალჩინოსნის დაკავებას გამოეხმაურა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და განაცხადა, რომ მისი მთავრობა გამორჩეულია კორუფციასთან ბრძოლაში. კანონის შესაბამისად მკაცრად დაისჯება ყველა საჯარო პირი, ვინც მსგავს დანაშაულს ჩაიდენს: **„საქართველომ მიაღწია იმას, რომ ჩვენ მსოფლიოში ვართ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებკორუმპირებული სახელმწიფო და ამ პოზიციის გაუარესების უფლებას არავის მივცემთ",** — განაცხადა **ირაკლი ღარიბაშვილმა**.

ვერსიანიუსი

შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ტყიბულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული თამაზ ჭ, 1998 წელს დაბადებული უშანგ კ, 1998 წელს დაბადებული გია გ. და 1999 წელს დაბადებული ანზორ ფ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 2014 წლის 27 ნოემბერს ტყიბულის რაიონის სოფელ კურსებში ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ანდრო კაკაბაძის ოჯახი დააყაჩაღეს. სახლში კაკაბაძე მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა. ორივე მათგანს ხელ-ფეხი შეუკრეს, ოჯახიდან ფული გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ტყიბულში დააკავეს. ოთხივე მათგანი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი"

შსს-მ ნარკორეალიზატორების ჯგუფი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნარკოდანაშაულისთვის ნასამართლევი პირები: 1981 წელს დაბადებული გერონტი ქ, 1973 წელს დაბადებული ბესიკ ტ, 1981 წელს დაბადებული ნიაზ უ. და 1973 წელს დაბადებული დავით კ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ჯგუფურად გასაღების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები — ჰეროინი და ბუპრენორფინი ამოიღეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები სისტემატურად ახდენდნენ ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას. ოთხივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ჯგუფურად გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი"

ამერიკა დილემის წინაშეა, ევროპა ფინანსურ ზარალს ითვლის, უკრაინა ომის ზღვარზეა – რა ელის საქართველოს

„ევროკავშირის სანქციებმა რუსეთში ანტიპუტინიზმი ვერ გამოიწვია“

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

მსოფლიო პოლიტიკურ ავანსცენაზე „ნორმანდიული ოთხეულის“ — მერკელი-ოლანდი-პუტინი-პოროშენკოს გამოკვეთა, დასავლურ მედიაში აღიქმება მინიშნებად, რომ ამერიკა-ევროპული კონსოლიდირებული პოზიციის გარდა, არსებობს კიდევ პოლიტიკური ტენდენცია, ევროპამ პოლიტიკური პრობლემები საკუთარი ძალით მოაგვაროს. ბოლო ბოლო, უკრაინაში ომის დაწყება, პირველ რიგში, ევროპის უსაფრთხოებას დააზარალებს. გასული კვირის დასასრულს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები დაიწყო ორი ევროპელი ლიდერის, ანგელა მერკელისა და ფრანსუა ოლანდის ვიზიტით პუტინთან, მოსკოვში.

ევროპელმა ლიდერებმა უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტს კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება მოსთხოვეს. ეს კი შემდეგს გულისხმობს. რუსეთმა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებიდან, ლუგანსკიდან და დონეცკიდან უნდა გაიყვანოს რუსული ჯარი და საერთაშორისო ძალებს მისცეს უკრაინა-რუსეთის საზღვრის გაკონტროლების საშუალება, შეწყვიტოს სეპარატისტებისთვის საბრძოლო იარაღის მიწოდება. ამის შემდეგ მერკელი ვაშინგტონში გაემგზავრა. ვლადიმერ პუტინის პრესსპირეკმა დიმიტრი პესკოვმა კი გერმანელ კანცლერს დაადევნა: პუტინი კომპრომისზე წასვლას არ გეგმავსო.

მედიის ყურადღებამ თეთრი სახლისკენ გადაინაცვლა — რომელი რომელს დაარწმუნებდა, მერკელი ობამას თუ ობამა მერკელს. მოგვიანებით გამართულ პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა არ იზიარებს მერკელის განწყობას, არ სჯერა პუტინის დაპირების, ამიტომ ჯერჯერობით, თავს შეიკავებს უკრაინაში შეიარაღების გაგზავნისგან. სიცხადისთვის კი ობამამ დასძინა, რომ, თუ უკრაინის აღმოსავლეთში კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარება ჩაიშლება, აშშ განიხილავს კრიზისის გადაწყვეტის ყველა შესაძლებლობას.

ამის მიუხედავად, გერმანიის კანცლერმა ობამასთან შეხვედრას წარმატებული უწოდა და განაცხადა, რომ კიევისთვის სამხედრო დახმარების საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, გერმანია ისევე, როგორც ევროკავშირი, აშშ-სთან ერთიანობის შენარჩუნების პოლიტიკის ერთგულია. ჟურნალისტებთან საუბრისას მან დაადასტურა, რომ კვლავაც რჩება უკრაინის კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარების მომხრე.

ამასობაში, ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების ექვსთვიანი ვადა იწურება. გააგრძელებს თუ არა ევროკავშირი რუსეთის მიმართ ეკონომიკურ სანქციებს და მოსალოდნელია თუ არა უკრაინაში ომის დაწყება? ამ საკითხებზე „ვერსია“ საერთაშორისო დიპლომატიის საკითხებში ექსპერტს, **სოსო ცინცაძეს** ესაუბრა.

— პუტინი-მერკელი-ოლანდის შეხვედრის მოლოდინი გამართლდა?

— ამ შეხვედრის მიმართ დიდი მოლოდინი არავის ჰქონია, უბრალოდ ეს იყო ბოლო შანსი. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ასეა ევროპის საქმე. უკრაინის საკითხზე ასევე უსიამოვნო საუბარი ჰქონდათ ობამა-მერკელსაც, როცა მერკელმა ჩამოთვალა ის უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს იარაღის მიწოდებას. ობამამ უსმინა და ცივი წყალი გადაასხა — ეს ჩემთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ნაბიჯს დადებითი მეტი მოჰყვება ვიდრე უარყოფითიო. ობამამ თავი დაიზღვია, როდესაც განაცხადა, მინსკში ერთი თვის წინაც მოვისმინეთ რუსეთის პოზიცია, მაგრამ ჯერ არცერთი შეთანხმება არ შემდგარაო. დღეს პუტინს არ აქვს სტიმული, უკან დაიხიოს. რუსეთში ჯერ კიდევ მოქმედებს პრინციპი — „უარესსაც გადავიტანთ“. ბოლო დღეების რუსული პრესა სავსეა წერილებით, რას გაუძლო ხალხმა მეორე მსოფლიო ომის დროს.

— მოსახლეობაზე ასეთი იდეოლოგიური ზემოქმედების მეთოდები კრემლისთვის უცხო არ არის. მას ხშირად იყენებენ კრიზისულ ვითარებაში...

— რა თქმა უნდა. თანაც საიუბილეო წელია, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 70 წელი სრულდება. თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი რუსეთში უკვე აღარაფერია. უკვე აღიარებული ფაქტია, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთის მოსახლეობაში არ გამოიწვია ანტიპუტინიზმი. ექსპერტმა გრიგოლ იავლინსკიმ გამოაქვეყნა ამ დღეებში სტატია, სადაც მან, ლამის კალკულატორზე გათვლით დაუმტკიცა ყველას, რომ ეს სანქციები ადრე თუ გვიან რუსეთს მიიყვანს იქამდე, რომ ის გახდება მეორეხარისხოვანი სახელმწიფო.

— მანამდე ზარალდებიან ევროკავშირის ქვეყნები...

— ევროკავშირი, პრაქტიკულად, უკვე გათიშულია. მასში არიან კმაყოფაზე მყოფი ქვეყნები — საბერძნეთი, ესპანეთი, პორტუგალია. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, წერილში, პირდაპირ მოსთქვამს, რომ რუსეთის სანქციების გამო, ევროპამ უკვე იზარალა 21 მლრდ ევრო. ეს ფული დაკარგა ესპანეთმა, საბერძნეთმა და პორტუგალიამ, ნაწილი იტალიამაც. ეს არის იმ ღარიბი ქვეყნების პირადი გამორჩენის საკითხი, რომლებიც მიეჩვივნენ ევროკავშირის დახმარებით ცხოვრებას. ისინი აბუნტდნენ, რადგან გერმანიამ თქვა უარი მათ შენახვაზე და ამბობენ, იმიტომ აღარ გაქვთ ფული, რომ სანქციები შემოვიდაო.

— ამ ფონზე, დღეს საბერძნეთი საკუთარი ვალუტის აღდგენაზე საუბრობს.

— მშვენივრად იციან, რომ ეს არ მოხდება, ეს საბერძნეთის კრახი იქნება. საბერძნეთის პრემიერი ალექსის ციპრასი აცხადებს, რომ ევროზონიდან არ გავლენ, უბრალოდ სურთ 300 მლრდ ევრომდე ვალი ჩამოაწერონ. მათ ორჯერ უკვე ჩამოაწერეს 250 მლრდ ევროს ვალი. აქ უკვე იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. ანგელა მერკელის მიმართ მიმდინარეობს არაადამიანური ზემოქმედება ბიზნესმენების მხრიდან, რომლებისთვისაც რუსეთში ფულის შოვნაა მთავარი. ამიტომ პუტინი უკან არ იხევს. უკანასკნელ დღეებში სეპარატისტებმა უკრაინაში დაახლოებით 1500 კმ-მდე მიიყვანეს თავისი ტერიტორია. სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი დებოლცევა ალყაშია.

— რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, პუტინს დათმობებზე წასვლის სტიმული არ აქვსო?

— პუტინმა იცის, ევროპა ბოლომდე ვერ გაერთიანდება. ახლა არის კრიტიკული ფაზა, რადგან მარტში იწურება ევროკავშირის ექვსთვიანი სანქციების ვადა. მარტიდან, ან უნდა გაგრძელდეს ეს სანქციები, ან შერბილდეს და საერთოდ გაუქმდეს. ევროპაში მიმდინარეობს გაცხარებული ბრძოლა სანქციების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. ეს ძალიან დიდი კოზირია რუსეთის ხელში. კიევისათვის კი ის არის კოზირი, რომ ამერიკა ემუქრება რუსეთს უკრაინისათვის იარაღის მიწოდებით. თუმცა მერკელიც და ოლანდიც კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. ევროპელებიც, მერკელისა და ოლანდის მოსკოვში ჩასვლას, თავის დროზე ჰიტლერთან ბრიტანეთის პრემიერის ვიზიტს ადარებენ. მინსკის შეხვედრა ბევრ რამეს გადაწყვეტს.

— მინსკის საკონტაქტო ჯგუფის მონაწილეები არიან რუსეთი-უკრაინა-ეუთო. ამ შეხვედრების მიმართ კრემლის პოზიცია ცნობილია, ისინი ამბობენ, ჩვენ რა შუაში ვართ, ლუგანსკისა და დონეცკის წარმომადგენლებს ესაუბრეთო.

— დიახ, რადგან რუსეთში გაბატონებულია აზრი, რომ ეს არ არის უკვე უკრაინასა და რუსეთს შორის საზღვარი. რუსეთი ესაზღვრება დონეცკისა და ლუგანსკის თვითაღიარებულ რესპუბლიკებს. მინსკის შეხვედრის ძირითადი საკითხი არის, მისცემენ თუ არა კიევს უფლებას გააკონტროლოს რუსეთთან საზღვარი. ისევე როგორც ვთქვათ საქართველო აღარ ესაზღვრება რუსეთს, ის ესაზღვრება დამოუკიდებელ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მდინარე ფსოუზე აღარ არის უკვე საქართველო-რუსეთის საზღვარი, ის არის ენგურსა და ახალგორზე. ასეთი მიდგომაა რუსეთში. თუ მართლა ისე გადაწყდა, რომ აღარ არის ეს უკრაინის საზღვარი, ჩათვალეთ, დონეცკიცა და ლუგანსკიც უკრაინას დაკარგული აქვს. კურიოზი იქნება, რომ უკრაინას დაევალება ამ რეგიონების მოსახლეობის შენახვა, უხადოს პენსიები, სოციალური დახმარებები, დანგრეული შენობები აღადგინოს, მაგრამ პოლიტიკური გავლენა არ ექნება.

— შეეგუება ამას ამერიკა, რომელსაც ევროპაში ნატო-ს შეიარაღების გაზრდა სურს?

— ამერიკა დღეს დილემის წინაშე დგას: შეინარჩუნოს ევროპა-ამერიკის ერთობა, თუ წავიდეს კონფრონტაციაზე, პირველ რიგში ფრანგებსა და გერმანელებთან.

— სავარაუდოდ არ წავა ასეთ დაპირისპირებაზე, მაშინ დიდი პასუხისმგებლობის აღება მოუწევს.

— ამერიკის პრეზიდენტს ირჩევენ ამერიკელები და არა გერმანელები და ფრანგები. ამერიკის მოსახლეობაში დღეს უკვე სხვა განწყობაა. წინა კვირას გამოქვეყნდა უკანასკნელი გამოკვლევები, საიდანაც ჩანს, რომ თვითონ ამერიკელების მიდგომა შეიცვალა რუსეთისადმი. რუსეთის მოქალაქეების 81% ამერიკას ყველაზე საშიშ მტრად მიიჩნევს, 60% — ევროპას და ნაკლები უკრაინას. ამერიკელებშიც იზრდება ასეთი განწყობა რუსეთის მიმართ. ამერიკის კონგრესს მნიშვნელოვანი ავტორიტეტი და გავლენა აქვს. ნუ შევადარებთ ჩვენს პარლამენტს. მაკკეინი რომ დაიმუქრა, გასულ კვირას, თუ ამერიკა უკრაინისათვის იარაღის მიწოდების გადაწყვეტილებას არ მიიღებს, თავად მაკკეინი მოახდენს კანონის ინიცირებას, რომელიც უკვე პირდაპირ დაავალებს პრეზიდენტს მიაწოდოს იარაღი უკრაინას და ამ დავალებას ობამა ვერსად გაექცევა.

დასასრული მე-8 გვერდზე

შს მინისტრის გადაწყვეტილებით, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულება გასაჯაროვდა

მინისტრ ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, შსს-ს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დანაყოფის — კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულება გასაჯაროვდა.

ვინაიდან სამინისტროს პრიორიტეტია ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება, გაითვალისწინოს არასამთავრობო ორგანიზაციების და ექსპერტების რეკომენდაცია სხვადასხვა დანაყოფის დებულებების გასაჯაროებაზე. დებულება უკვე გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეში.

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრის მოადგილემ „112“-ის თანამშრომლებს საერთაშორისო დღე მიულოცა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრს ეწვია და 11 თებერვალს „112“-ის საერთაშორისო დღე მიულოცა. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილესთან ერთად სხვადასხვა ექსტრემალური სპორტის ფედერაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას სტუმრები ადგილზე გაეცნენ. ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მობილური ოპერატორების დაფარვის ზონის გარეთ არსებული გეოგრაფიული არეალიდან GPS Treqer-ის საშუალებით „112“-თან წვდომას გულისხმობს. აღნიშნული „თრექერები“, რომლებიც „112“-მა საკუთარი ხარჯებით შეიძინა, განკუთვნილია ტურისტებისთვის და საქართველოს მაღალი რისკის მქონე რეგიონებში გადაადგილებული პირებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ მიმართულებად 2015 წელს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა დასახელდა. აღნიშნულ თემაზე მიღებული ზარების შინაარსიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისა და „112“-ის ეფექტურ მუშაობაში შეტანილი წვლილისთვის, შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, ცენტრის 2 თანამშრომელს მადლობის სიგელი გადაეცა.

„112“-ის საერთაშორისო დღის აღნიშვნის მიზანია გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე. ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, 11 თებერვალი „112“-ის დღედ 2009 წელს გამოცხადდა. საქართველოში უკვე 3 წელია, რაც გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი ფუნქციონირებს, ხოლო ევროპის მასშტაბით ამ ნომრით 1991 წლიდან სარგებლობენ.

„ვერსიანიუსი“

„აი პი ემ ტერმინალსი“ ფოთის საზღვაო ნავსადგურს ანგრევს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ფოთის ნავსადგურის მფლობელმა დანიურმა „აი პი ემ ტერმინალსმა“, ფოთის საზღვაო ვაგზლის ნგრევასთან დაკავშირებით, ტენდერი გამოაცხადა. ფოთელების სახელით, „ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის“ წარმომადგენლები მიმართავენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რათა ტენდერი შეჩერდეს. „ფოთის საზოგადოებრივი დარბაზის“ წევრებს მიაჩნიათ, რომ საზღვაო ვაგზლის დანგრევით, ფოთი დაკარგავს ქალაქის სტატუსს და მისი მთავარი ფუნქციაც მოიშლება. ფოთის საზღვაო ვაგზლის დანგრევით, ქვეყნის საზღვაო კარიბჭე დაინგრევა. რაც მთავარია, ფოთის ნავსადგურში აღარ შემოვა სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის, სამგზავრო, ტურისტული, საექსკურსიო, საექსპედიციო, საკვლევი, სამხედრო, საგანგებო გემები და მხოლოდ სატვირთო გემებს მოემსახურებიან. „ვერსიას“ ფოთის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის წევრი, გოჩა აბშილავა ესაუბრება.

„ფოთის საზოგადოებრივი დარბაზი“ ნავსადგურის მმართველი დანიური კომპანიისგან ტენდერის შეჩერებასა და ხელშეკრულების გასაჯაროებას ითხოვს

— 2008 წლის 8 აპრილს, ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით, ფოთის ნავსადგური არაბულმა „რაკიამ“, ანუ „რას ალ ხაიმას საინვესტიციო სააგენტომ“ შეიძინა. თუმცა იმავე დღეს, უდიდესი ქონება, ფოთის საზღვაო ვაგზლისა და მიმდებარე ტერიტორიის სახით, „რაკიას“ აჩუქეს კიდეც. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე დღეს, ქონება ჯერ გაყიდეს და მერე აჩუქეს მყიდველს. რეალურად, ფოთის ნავსადგური უმდიდრესია, შესაბამისად, ფოთიც უმდიდრესი ქალაქი უნდა იყოს, მაგრამ დღეს ყველაზე ღარიბი და გაპარტახებულია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტერმინალს მისასვლელი გზა, ინფრასტრუქტურა, ხიდები და გასასვლელი სჭირდება, რაც ქალაქის ინფრასტრუქტურაში შედის. იმის გამო, რომ დანიური კომპანია საზღვაო ვაგზალს გვინგრევს, ზღვასთან მისასვლელსაც გვიკეტავენ და ამ ვითარებაში, ჩვენ რა უნდა ვქნათ? განა, არ შეგვიძლია, აქციები გავმართოთ და გზა გადავკეტოთ, მაგრამ მეორე მხრივ, ამ გზაზე სატვირთო მანქანები მოძრაობენ, ჩვენი პროტესტით კი უამრავი გადამზიდავი დაზარალდება. „აი პი ემ ტერმინალსი“ ამ ყველაფერს ანგარიშს არ უწევს, კომპანიამ ქალაქისა და ქალაქების აზრიც დააიგნორა, ფოთის მერიაც და ხელისუფლებაც კი.

— ბატონო გოჩა, „აი პი ემ ტერმინალსის“ ხელმძღვანელობას არ მიმართეთ?

— დანიური კომპანიის გენერალურ დირექტორს, ბატონ ჯოზეფ ფრენსის ქროულს არაერთხელ მივწერეთ, ვთხოვეთ, რომ შეგვხვედროდა, რათა ერთობლივად, ჩვენი და მათი იურისტების მონაწილეობით განგვეხილა ეს საკითხი, მაგრამ ამაოდ. ხელშეკრულება, რომელიც „აი პი ემ ტერმინალსსა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის გაფორმდა, საიდუმლო არ არის. არაერთხელ ვთხოვეთ, ეს ხელშეკრულება გაესაჯაროებინათ, რათა გაგვეგო, თუ როგორაა განსაზღვრული ქალაქ ფოთის ფუნქციები ხელშეკრულების მიხედვით. მეტსაც გეტყვით, ფოთს უდიდესი ბიუჯეტი ჰქონდა, თბილისის შემდეგ, მეორე იყო, მაგრამ დღეს ქალაქი ტრანსფერით ცხოვრობს. რატომ უნდა ცხოვრობდეს ფოთი ტრანსფერით? ეს არავის აინტერესებს, საერთოდ, ფოთითა და ფოთელებით არავინ ინტერესდება საქართველოში. ერთადერთი, ადგილობრივი ხელისუფლების იმედი გვაქვს, მაქსიმალურად ვცდილობთ, ფოთის ახლადარჩეული მერის, ირაკლი კაკულიას გარშემო გავერთიანდეთ, რომ ისეთი გარემო შევქმნათ, რაც ფოთსა და ფოთელებს წაადგება. მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვთ, გასაჯაროვდეს ხელშეკრულება და „აი პი ემ ტერმინალსი“ დისკუსიაზე დაგვთანხმდეს, რათა ეს საკითხები ერთობლივად განვიხილოთ. ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ვცხოვრობ, აქვე მდებარეობს მერიაც, იქნებ, ჩემი სახლიც გაყიდულია უკვე? ეს ყველაფერი ხომ უნდა გავარკვიოთ?

— ნავსადგური არაბულ „რაკიას“ ჯერ მიყიდეს და მერე აჩუქეს, ახლა ხომ „აი პი ემ ტერმინალსის“ საკუთრებაა, ამ ტერიტორიაზე რა გაკეთდა, ანუ ვაგზლის დანგრევა რატომ დადგა დღის წესრიგში?

— დიახ, ყოფილმა ხელისუფლებამ 421 ჰექტარი მიწა „აი პი ემ ტერმინალსს“ უსასყიდლოდ, უზურფუქტის სახით გადასცა. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა „ჩენელ ენერჯი“, რომელშიც 25%-იან წილს ფლობს „აი პი ემ ტერმინალსი“. დავით კეზერაშვილის კუთვნილი, 48%-იანი წილიც ოფიციალურად, სწორედ, „ჩენელ ენერჯის“ საშუალებით გაფორმდა. ეს საკითხები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, რათა ფოთელებმა გავიგოთ, რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საზღვაო ვაგზლის მოშლა, ფოთისთვის ფუნქციის წართმევას ნიშნავს. აფხაზეთის ომის დროს, ფოთის საზღვაო ვაგზალი უდიდესი გამტარი იყო, რა გამოწვევების წინაშე დავდგებით ხვალ, არავინ იცის და ეს სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს. სახელმწიფო სტრატეგიაში ეს სეგმენტი ისე უნდა აისახოს, რომ არც ფოთის ინტერესები შეილახოს და სახელმწიფოც არ დაზარალდეს.

— იქნებ, ფოთის საზღვაო ვაგზალს რეაბილიტაციის მიზნით ანგრევენ?

— გამორიცხულია! ფოთის საზღვაო ვაგზლის შენობაში უნიკალური გობელენები და ხელოვნების ნიმუშები იყო, მაგრამ შენობა მთლიანად გამოფატრეს. ახლა გავიგეთ, რომ ამ ტენდერის საშუალებით, ერთ-ერთი ქუთაისური კომპანია, შპს „პრაიმ ბეტონი“ შემოდის, რომელიც 200 0000 ლარის გადახდას აპირებს, რომ ეს შენობა დაანგრიოს. არადა, საზღვაო ვაგზლის შენობას რეაბილიტაცია კი არა, კოსმეტიკური რემონტიც არ სჭირდებოდა. მდგრადი, მონოლითურია და პირიქით, ნებისმიერი საქმიანობისთვის გამოდგებოდა.

— ქუთაისური კომპანია ახსენეთ, ტენდერი უკვე ჩატარდა?

— არა, ჯერ მხოლოდ გამოცხადდა, თუმცა უკვე გავარკვიეთ, რომ მასში, სავარაუდოდ, შპს „პრაიმ ბეტონი“ გაიმარჯვებს.

— ტენდერის შეჩერებას ითხოვთ?

— დიახ და ჩვენი მოთხოვნა სავსებით ლეგიტიმურია! თუ საზღვაო ვაგზლის შენობა დასანგრევია, დაანგრიონ, მაგრამ ვითხოვთ, სამაგიეროც ააშენონ. იმის გარკვევაც გვინდა, რატომაა ეს შენობა დასანგრევი და თუ მაინც უნდა დაინგრეს, რას ააშენებენ მის ნაცვლად.

— თქვენი აზრით, რატომ და რა მიზნით აპირებენ დანგრევას?

— ვეჭვობთ, საზღვაო ვაგზლის ტერიტორიის გამოყენება უნდათ კომერციული მიზნებისთვის. თავის დროზე, ამ ტერიტორიით სანდრა რულოვსი და მისი ოჯახი დაინტერესდა. ზოგადად, ფოთის ნავსადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მიმართ, ასეთი ინტერესი ყოველთვის იყო. ფოთის ნავსადგური უნიკალურია, რომელიც თავისი ინფრასტრუქტურით, შეგიძლიათ, ამსტერდამის ნავსადგურსაც კი შეადაროთ. თუმცა ის, რაც თავის დროზე ნიკო ნიკოლაძემ გააკეთა, დამიჯერეთ, ფოთის ნავსადგურში იმაზე მეტი, არც არაფერი გაკეთებულა. დღეს დანიური კომპანია ექსპლუატაციას უწევს იმას, რაც ნიკო ნიკოლაძემ დატოვა და ამასაც ჩვენ გვამადლიან! ხომ უნდა გაირკვეს, რა არის დასამადლებელი, რა გააკეთეს თვითონ, ჩვენ რა მივეცით და რა უკუმოგება მივიღეთ. 421 ჰექტარზე, მიწის მიზერულ გადასახადს იხდიან — 140 000 ლარს. დღევანდელი ფასით, ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1 კვ/მეტრი, დაახლოებით, 100 ლარია, მაგრამ ამის ინდექსაციაც არავის გაუკეთებია. ფოთში, ნაბადის უბნის მიმართულებით, მოსახლეობას ზღვასთან მისასვლელი არ აქვს. ერთი მისასვლელი იყო ნავსადგურთან და ისიც მოსპეს, ფაქტობრივად, ქალაქი ზღვისგან ზურგით მოაქციეს. არადა, ზღვიდან სიკეთეს უნდა ვიღებდეთ, ჩვენ კი პირიქით — ზღვას საერთოდ ვეღარ ვხედავთ! ახლა ბევრს საუბრობენ, რომ ნავსადგურსა და პორტს ანაკლიაში ააშენებენ, მაგრამ სადაც უნდა ააშენონ, შავ ზღვაზე, ფოთის ანალოგიური მაინც ვერ იქნება. თურქები ამ ნავსადგურს „ალთუნ ბოღას“ უწოდებენ, რაც ქართულად ოქროს ნავსადგურს ნიშნავს. საერთოდ, ფოთის ნავსადგური დივერსიფიცირებული, ევროპული გზაა.

— ფოთის მერი, რომლის იმედიც გაქვთ, ამ ყველაფრის საქმის კურსშია?

— დაინტერესებულია და ცდილობს, ეს საკითხი შეისწავლოს. თუმცა „აი პი ემ ტერმინალსის“ ხელმძღვანელობა არავის ეკონტაქტება, თითქოს ფოთი უცხო სხეული იყოს, ისეა გამიჯნული ნავსადგურისგან. ფოთის მერისა და ცენტრალური ხელისუფლების იმედი გვაქვს. საბოლოოდ, ეს საკითხი კი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უნდა მოაგვაროს.

რიმა ბერაძე, სოსო ერქომაიშვილი თუ გოჩა მეგრელიშვილი — ვინ იქნება გურიის გუბერნატორი?

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ გურიიდან

გურიის ახალი გუბერნატორის დანიშვნამდე ცოტა დრო რჩება. უკვე თვეზე მეტია, გიორგი ჩხაიძემ პოსტი დატოვა და შემცვლელის ვინაობაზე ოფიციალურად საუბარი ჯერ არ ყოფილა.

უამრავი კანდიდატის სახელმა და გვარმა გაიჟღერა, თუმცა ყველას ვინაობა, გაჟღერებიდან რამდენიმე დღეში წარსულმა „შთანთქა“.

„ვერსია“ ამ საკითხზე გასული კვირის დასაწყისიდან მუშაობდა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პოპულარული წამყვანისა და ჟურნალისტის, ნანა ლეჟავას მეუღლის, ვოვა არობელიძის კანდიდატურა ამ პოსტზე საბოლოოდ გამოირიცხა. ის კი არადა, მისი დანიშვნა სერიოზულად არც განხილულა, რადგან მასა და ბიძინა ივანიშვილს შორის „შავმა კატამ“ კარგა ხნის წინ „გაირბინა“.

ყველაზე სერიოზულ კანდიდატებად დღეს ზაზა სიორიძის რძალი, მერაბ სიორიძის მეუღლე, ოზურგეთის ყოფილი რაიკომის მესამე მდივანი, ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრი, რიმა ბერაძე რჩება, რომელსაც ზურგს „ქართული ოცნება“ უმაგრებს. რამდენად შეუშლის თუ შეუწყობს ხელს რიმა ბერაძის გურიის გუბერნატორად დანიშვნას გარემოება, რომ ეს ქალბატონი ოზურგეთის არჩეული მერის, ბეგლარ სიორიძის ახლო ნათესავია, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, როგორც ჩვენი წყარო გვატყობინებს, თავად რიმა ბერაძე ამ ახლობლობას უარყოფს და აცხადებს, რომ მეუღლის ნათესავებთან საერთოდ არანაირი კონტაქტი არ აქვს და არც მომავალში ექნება.

მასზე არანაკლები (თუ მეტი არა) შანსები გააჩნია სოსო ერქომაიშვილს.

თუ რიმა ბერაძეს გურიისა და უფრო მეტად ოზურგეთელებისთვის წარდგენა არ სჭირდება, ამ უკანასკნელმა (სოსო ერქომაიშვილმა) თავი გურულებს, შარშან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დღეს დაამახსოვრა, როცა გურიის დედაქალაქში უბან-უბან დარბოდა და განწირული ხმით, „ქართული ოცნების“ კანდიდატს, ბეგლარ სიორიძეს „პროვოკატორსა“ და „ნაძირალას“ ეძახდა (ამის ამსახველი ვიდეომასალა ,,გურიის მოამბის“ არქივში ინახება). თუმცა მის მხარდამჭერებში ბერა ივანიშვილი მოიაზრება და ასეთ დროს, „ვიღაც ბეგი სიორიძის“ გინება, თუნდაც „ქართული ოცნების“ კანდიდატის რანგში მყოფნისა, დიდი ვერაფერი დაბრკოლებაა.

რაც შეეხება მესამე კანდიდატს, იგი გოჩა მეგრელიშვილი, მეტსახელად „გურიეცია“, მას მხარს მხარის სამივე მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატები — თემურ ჭკუასელი, თემურ ჩხაიძე და ზვიად კვაჭანტირაძე უჭერენ. დეპუტატებმა თავიანთი მხარდაჭერა, გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალური განცხადების სახით დაადასტურეს, თუმცა სწორედ ეს განცხადება დარჩა მეგრელიშვილის მეორეხარისხოვან კანდიდატად ქცევის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიზეზი. მთავარ მიზეზებზე მედია უკვე წერდა და იგი მეგრელიშვილის „ახალაიას საქმეში“ თანამონაწილეობას ეხება.

ვინ არის თავნება და მატყუარა და ვინაა რელსებს აცდენილი — დიდი დაპირისპირება უმრავლესობაში

ნინო კომახიძე, 599-95-33-16

ბრძოლა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობისთვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, საპარლამენტო უმრავლესობაში დაპირისპირების მიზეზიც გახდა. უმრავლესობა ორად გაიყო: ერთნი ამბობენ, რომ სასამართლოში პოლიტიკოსების ადგილი არაა, მეორენი კი — პეტიციებს ადგენენ და მხარს „ოცნების“ მიერ დასახელებულ დეპუტატს უჭერენ. ცალკეული დეპუტატები, უმრავლესობის სახელით, განცხადებებს აკეთებენ, კოალიცია „ოცნების“ ნახევარი დავით საგანელიძეს აუბუნტდა. თავის მხრივ, საგანელიძე პრეზიდენტს უმრავლესობის სახელით ესაუბრა და ამის შესახებ დანარჩენებს არ შეუთანხმდა. მოკლედ, ერთი კანდიდატურის შერჩევამ, ლამის მთელი ქვეყანა გადაიყოლა — „ვერსიისთვის“ კი განმარტებები დეპუტატმა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა, ზაქარია ქუცნაშვილმა გააკეთა, რომელმაც საკუთარი პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ, მასმედიასთან უმრავლესობის ლიდერს მატყუარა და თავნება უწოდა.

უზენაეს სასამართლოს სახელი გადაერქმევა?

— თქვენი კანდიდატურა უმრავლესობაში რეალური დაპირისპირების საფუძველი გახდა — ვის აწყობდა ამის გაკეთება და რატომ?

— დაპირისპირება უსამართლობამ წარმოშვა — ვინც იტყუება, დაპირისპირების სათავეცა და წყაროც ის არის და არა ის, ვინც სიმართლეს ამბობს.

— თუკი ადამიანი, ვინც იტყუება და დაპირისპირებას იწვევს, თქვენი ლიდერია, რატომ არ ცვლით ან რატომ უშვებთ მას პრეზიდენტთან შესახვედრად — თუ ესეც ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყო?

— არა, დათოს უფლება აქვს, უმრავლესობის სახელით მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ არ აქვს უფლება, ამ მოლაპარაკების შინაარსი უმრავლესობას არ შეუთანხმოს. იმაზე კი არ ვდავობთ, რატომ აწარმოა პრეზიდენტთან მოლაპარაკება, არამედ იმაზე, რომ უმრავლესობას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმები არ შეუთანხმა და პრეზიდენტს ისე მიაღებინა. ეს თქვენ უნდა შეაფასოთ — ვინ ამბობს სიმართლეს და ვინ ტყუის!

— დაუშვათ, ასეა — რა იყო მისი მიზანი, დასახელებული დეპუტატებისთვის ხელის შეშლა?

— ეს დავით საგანელიძეს უნდა ვკითხოთ. თუ მისი მიზანია, საქართველოს პარლამენტის წევრებს ანტიკონსტიტუციური კრიტერიუმების შემოღებით ხელი შეუშალოს, ეს თავად უნდა დაგიდასტუროთ. სწორედ ისაა ავტორი იმ ანტიკონსტიტუციური კრიტერიუმებისა, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ამბობს.

— ფაქტი ერთია, პარლამენტში დიდი არეულობაა და ერთმანეთს თანაპარტიელები აუმხედრდნენ: ჩაფიძემ ბრიფინგზე მხარი უმრავლესობის სახელით დაგიჭირათ, ამის მერე, მიროტაძემ განაცხადა, რომ მხარს არ გიჭერთ, მერე 19 დეპუტატი მხარდამჭერი პეტიციით გამოვიდა: ყველა უმრავლესობის სახელით ლაპარაკობს და რეალურად, ვინაა დღეს უმრავლესობა?

— უმრავლესობა ის ხალხია, ვინც მას პარლამენტში ადგენს, ანუ 87 დეპუტატი და მიროტაძეც, ჩაფიძეცა და ის 19 კაციც უმრავლესობის წევრები არიან. თუმცა სიმართლე ერთია — საგანელიძისა და პრეზიდენტის მოლაპარაკების დეტალების შესახებ უმრავლესობა საქმის კურსში არ იყო და ისე გამოვიდა, თითქოს, პოლიტიკოსს არ აქვს თავმჯდომარეობის უფლება, რაც ანტიკონსტიტუციურია და ამის შესახებ უმრავლესობამაც არაფერი იცოდა.

— ანი მიროტაძე საინტერესო ფრაზას ამბობს, რაშიც, ალბათ, ბევრი დაეთანხმება: არაკორექტულია დეპუტატის, პარტიის წევრის წასვლა სასამართლოში, რადგან შესაძლოა, ამან წინასწარდადგმული თამაშის სახე მიიღოს.

— მიროტაძემ რა თქვა, არ მაინტერესებს, თუ ასე მიცნობს, რომ შეთანხმებულ თამაშს ვთამაშობ, მაშინ ეს ადამიანი ძალიან შემცდარა, დაწერეთ — ასე თუ ამბობს, მაშინ რელსებსაა აცდენილი!

— მაგრამ, თუკი კუბლაშვილს იმას ვედავებით, რომ მისი ძმა ნაციონალია და ამით იგი გავლენის ქვეშაა, ვინ გვაძლევს გარანტიას, რომ „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ქუცნაშვილი ხელისუფლების გავლენის ქვეშ არ მოექცევა?

— მერე, თავი რისთვის უნდა ადამიანს — უნდა დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, ვინაა პოლიტიკური გავლენის ქვეშ და ვინ არა. პოლიტიკური გავლენების ქვეშ უპარტიო ადამიანი არ შეიძლება მოექცეს? თავიდანვე განვაცხადე, რომ, როცა ჩემს საინიციატივო ჯგუფებს შევხვდები და პროგრამას გავაცნობ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელსაც მოვიწვევ-მეთქი, რათა იცოდეს, რის გაკეთებას ვგეგმავ. მე სწორედ ამ საინიციატივო ჯგუფებმა დამასახელეს და არა ანი მიროტაძემ.

— საბოლოოდ, პრეზიდენტმა უნდა წარგადგინოთ, როგორ ფიქრობთ, იმ წყენამ გაუარა, კონსტიტუციით ხელში რომ მიადექით რეზიდენციაში?

— პრეზიდენტს არანაირი წყენა არ ჰქონია, არ ვიცი, ეს საიდან მოიტანეთ. მას მერე არაერთხელ შევხვდით და საკმაოდ კარგი კომუნიკაციაც შედგა.

— რჩება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტმა სხვა კანდიდატი რომ დაასახელოს, პარლამენტი აპრიორი ჩააგდებს...

— ვნახოთ, სხვებისგან განსხვავებით, უმრავლესობის სახელით გადაწყვეტილებას მე ვერ მივიღებ.

— ბოლოს — გაიჟღერა, უზენაეს სასამართლოს შესაძლოა, სახელი შეეცვალოს და ამას მართლა აპირებთ?

— უზენაესი ღმერთია, ყველა ქრისტიანისთვის. სასამართლო კი მოქალაქეებისთვის უმაღლესი ინსტანციაა, ამიტომ, რაკი ასეთი სურვილი გამოითქვა და ინიციატივა იმ ხალხისგან მოდის, ვინც დამასახელა, მათ სურვილს გავიზიარებ და, შესაძლოა, უზენაეს სასამართლოს უმაღლესი სასამართლო დაერქვას.

„თუ აპოლიტიკურ და პროფესიონალ თავმჯდომარეს ისურვებენ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის კანდიდატს ძალიან მაღალი შანსი ექნება“

რუსუდან ხავთასი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე ადვოკატი დავით ასათიანი წარადგინა. ეს პირადად ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის ინიციატივა იყო. ბატონ ზაზას ამ ფაქტის გამო კომენტარი ვთხოვეთ.

— რა კრიტერიუმებით წარადგინა ადვოკატთა ასოციაციამ დავით ასათიანის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე?

— ეს ჩემი ინიციატივა იყო. დათო მეწინააღმდეგებოდა, მე კი ვარწმუნებდი, რომ ადვოკატთა ასოციაციას უნდა ჰყოლოდა კანდიდატი, რომელიც ამ თანამდებობაზე ყოველმხრივ მისაღები იქნებოდა. ჩემი აზრით, ასეთი სწორედ დავით ასათიანია — პირველ რიგში, იმიტომ, რომ ძალიან პრინციპული, უაღრესად განათლებული, კომუნიკაბელური და თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია, კარგად იცის, რა ხდება სასამართლო სისტემაში. ამასთანავე, მისი წარსული ცხოვრებიდან გამომდინარე, ის ნამდვილად მისაღები იქნება სასამართლო კორპუსისთვის. როდესაც კენჭს ვიყრიდი ასოციაციის თავმჯდომარედ, დავით ასათიანი ჩვენი სიის პირველი ნომერი იყო. იგი ძალიან კარგი მენეჯერია და შეუძლია, სასამართლო მოწოდების სიმაღლეზე დააყენოს. კარგად იცის, თუ რა სტკივა სასამართლო სისტემას. თუმცა, დათო არასდროს ლაპარაკობს თავის უნარებსა და მიღწევებზე, უბრალოდ, აკეთებს თავის საქმეს. მინდა, გავიხსენო ერთი ფაქტი: სააკაშვილის რეჟიმის დროს, 2010 წლის სექტემბერში, მე და დავით ასათიანი ციურიხში ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პლენარულ სესიაზე წავედით. დავაყენეთ წინადადება, რომ საქართველოში ადვოკატები ზეწოლას განიცდიდნენ. შემდეგ, როდესაც თბილისში ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო დელეგაცია ჩამოვიდა, დაიდო სკანდალური დასკვნა, რომ ადვოკატთა კორპუსი იდევნებოდა. დათო იყო ის ადამიანი, რომელმაც, ფაქტობრივად, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან ერთად, დააორგანიზა ეს ღონისძიება და უმასპინძლა ამ ხალხს მაშინ, როცა თვითონ არასოდეს ჩანდა. ყოველთვის ისე აკეთებდა საქმეს, რომ არ ახდენდა ამის აფიშირებას. მე ვიცი, რამდენს აკეთებს ეს ადამიანი და ამიტომ ვუთხარი — კარგი იქნება, თუ საზოგადოებაც გაიგებს და დაინახავს, რისი გაკეთება შეგიძლია-მეთქი. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარსელა ბრასელმა დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციაში საქართველოს წარმომადგენლად დანიშნა. ევროპის ადვოკატთა ასოციაციამ თავის პირად წარმომადგენლად სწორედ დავით ასათიანი გამოარჩია. მან იცის, როგორ უნდა დაიცვას ადვოკატის უფლებები. ძალიან მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ისეთი ადამიანის მისვლა, ვინც მოსამართლის უფლებებს დაიცავს. თუ მოსამართლეს შიში ექნება, რომ კანონიერი გადაწყვეტილების გამო დასჯიან, სასამართლო სისტემა ვერ განვითარდება. დათო იქნება გარანტი იმისა, რომ ასეთი ფაქტები არ მოხდება.

— ამ თანამდებობაზე ადვოკატი პირველად წარადგინეს...

— თან გამორჩეული ადვოკატი, თან ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ წარვადგინეთ. ამისი ინიციატორი პირადად მე ვიყავი და დათოს დარწმუნებასაც მე ვცდილობდი. დაახლოებით, ორი კვირის წინ ძლივს დამთანხმდა, მაგრამ მითხრა: ზაზა იცოდე ტალახის სროლას დაიწყებენ, რაღაცებს დაგვაბრალებენო. მე კი ჩემი სათქმელი ვუთხარი: შენ იმისთვის უნდა იბრძოლო, რომ საზოგადოებას დავანახოთ, როგორი უნდა იყოს და რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. თუ ამ გზავნილს ვერ დაინახავენ და თავმჯდომარე ისევ პოლიტიკური ნიშნით შეირჩევა თავად ამ ინსტიტუტების პრობლემა იქნება, მაგრამ შენ უნდა მოხვიდე და შენი საქმე გააკეთო -მეთქი. მე რომ ვხედავ, თუ რამდენს აკეთებდა და დღესაც აკეთებს იგი ადვოკატთა კორპუსისა და იურიდიული პროფესიის გაძლიერებისათვის, მინდა, ასევე იმუშაოს სასამართლოს კორპუსის განვითარებისთვის. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა და მის ხელშია მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე თანხმობის საკითხი. თუ მოსამართლე იგრძნობს, რომ მას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ იქნება მისი დამოუკიდებლობის გარანტი, სასამართლო სისტემა განწირულია. გაგახსენებთ ერთ ფაქტს: როცა ნინო გვენეტაძეს და მერაბ ტურავას პირის გამართლება უნდოდათ, გახსოვთ, ალბათ, კუბლაშვილმა უთხრა — პროკურატურის ბიჭებს ხომ არ აწყენინეთო. ეს მან პირდაპირ ეთერში განაცხადა. თუ დღეს მოვა თავმჯდომარე, რომელიც მოსამართლეებს ეტყვის, რასაც პროკურატურა მოითხოვს, ის უნდა გააკეთოთო, სასამართლო სისტემა დაიღუპება. ასეთი ფაქტები რომ აღარ განმეორდეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ისეთი მიუკერძოებელი და პრინციპული ადამიანი უნდა გახდეს, როგორც დავით ასათიანია. თუ ხელისუფლების შტოები მიხვდებიან, რას წარმოადგენს დავით ასათიანი, ეს ამ ქვეყნისთვის იქნება ძალიან კარგი, თორემ მისთვის ეს პოზიცია თვითმიზანი არაა და იგი ნამდვილად არ დაიკარგება, რადგან ძალიან წარმატებული ადვოკატია და ხელის გულზე ატარებენ ევროპის ადვოკატთა ასოციაციების საბჭოში (CCBE). უბრალოდ, მისი მხრიდან ამ თანამდებობის დაკავება ქვეყნის წინაშე ხარკის გაღება იქნება.

— რამდენად რეალურია, რომ სწორედ დავით ასათიანის კანდიდატურა წარუდგინოს პრეზიდენტმა პარლამენტს განსახილველად?

— როდესაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე წარადგენს კანდიდატურას, აღმასრულებელი საბჭოს პირველ ნომერს, მინიმუმ საჭიროა, რომ ამ კანდიდატის ირგვლივ დისკუსია დაიწყოს და მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები შეაფასონ. თუ დანიშვნა პოლიტიკური ნიშნით არ მოხდება და ხელისუფლება გაიზიარებს იურიდიული პროფესიის აზრს, მაშინ დათოს მისი პიროვნული თვისებებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე რეალურად მაღალი შანსები აქვს.

— იმიტომ, რომ ის აპოლიტიკურია?

— ზუსტად ამიტომ. სიცოცხლეში არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, მის გვარს ვერც ერთ სიაში ვერ აღმოაჩენთ, არც ერთი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ რამე განცხადებაც კი არ გაუკეთებია. თუ პოლიტიკა არ ჩაერევა საქმეში და აპოლიტიკურ, პროფესიონალ, პრინციპულ და მიუკერძოებელ თავმჯდომარეს ისურვებენ, დარწმუნებული ვარ, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ კანდიდატს დიდი პერსპექტივა ექნება.

პატიმარი №0578

ორიოდე დღის წინ სამართალდამცავებმა რუსთავის №17 დაწესებულების ყოფილი დირექტორი, გიორგი ელიზბარაშვილი დააკავეს. მას ბრალად ედება ის, რომ მიმდინარე წლის 1 იანვარს პატიმრებს თავისუფლად გადაადგილების უფლება მისცა. ისინი კი სხვა საკანში შევიდნენ და პატიმარს ფიზიკურად გაუსწორდნენ. პასუხისგებაში ელიზბარაშვილის გარდა, კიდევ შვიდი მსჯავრდებული მიეცა. ერთი შეხედვით, დირექტორის ბრალეულობა აშკარაა, მაგრამ მეორეს მხრივ, რუსთავის №17 დაწესებულება ნახევრად ღია ტიპისაა, რაც ნიშნავს, რომ თუ კარანტინის ან სხვა მიზეზით საკნები ოფიციალურად არ არის დახურული, პატიმრებს თავისუფლად გადაადგილება შეუძლიათ. ყველა საკანი ღამით იკეტება და სწორედ ამ დროს შეიძლება მოხდეს ის, რასაც ელიზბარაშვილს ედავებიან. ანუ, ადმინისტრაციამ ერთი საკანი გახსნას და იქ მყოფ პატიმრებს სხვა საკანში შესვლის შესაძლებლობა მისცეს. ასე კეთდებოდა წინა ხელისუფლების დროსაც, იმის წინაც და ასე იქნება მომავალშიც, უბრალოდ იშვიათად იჩივლებს ვინმე. იმიტომ, რომ...

პატიმარი №0578 ორი დღის მიყვანილი იყო რუსთავის №17 დაწესებულებაში, როცა ღამით, მისი საკნის კარი გაიღო, ორი მაყურებელი და ზონის „პალაჟენეცი“ შემოვიდა. კარი დაიკეტა. შემოსულები ერთ-ერთი პატიმრის ნართან მივიდნენ და უმოწყალოდ სცემა. ცემა-ტყეპა დაახლოებით ათ წუთს გაგრძელდა, შემდეგ შემოსულები ისევ უხმოდ გავიდნენ კამერიდან.

„რა ხდება აქ?!“ — იკითხა იმათი გასვლის შემდეგ №0578-მა.

„დღეს შეეშალა ამას რაღაც და ახლა დასაჯეს“, — ჩუმად უპასუხა გვერდით მყოფმა პატიმარმა.

„კი, მაგრამ, თუ ცემა უნდოდათ, დღისით რატომ არ სცემეს? ვინ შეუშლიდა ხელს? ასე ბადრაგივით რომ დადიან ღამით, რა პონტია?“ — გაუკვირდა №0578-ს, მაგრამ სხვებმა ურჩიეს, არ ჩაერიო, შენც არ მოგხვდესო.

დილით მაყურებლებმა №0578-ის კამერაში „კაზიოლი“ ამოუშვეს და პატიმარს უთხრეს, მაყურებლები გიბარებენო. №0578 მაშინვე პირველ სართულზე ჩავიდა.

„რაო, ვინ დადის ბადრაგივითო?!“ — ჰკითხეს შესვლისთანავე პატიმარს.

„ვერ გავიგე თქვენი ქცევა. თუ დააშავა, რატომ მაშინვე არ მოსთხოვეთ პასუხი? ადმინისტრაციამ ჯერ თქვენი საკანი რომ გააღო და მერე ჩვენი, ყველაფრის აზრზეა ხომ? გამოდის, ანგარიშს ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ვუსწორებთ ერთმანეთს?!“ — ჩუმად თქვა №0578-მა.

„მომისმინე, ბიჭო“, — ცივად გააწყვეტინა „პალაჟენენეცმა“, — ადმინისტრაციასთან შეთანხმებით კი არა, ეს არის ის პალაჟენია, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ და ადმინისტრაციას ვაიძულებთ, როცა რაც გვინდა, გავაკეთოთ. ვინ როდის დაილეწება, არავინ გეკითხება. შენზე ჩვენმა ძმებმა დარეკეს, ყურადღება მიაქციეთო და იმიტომ გიხსნით, თორემ სხვას აქამდე ათჯერ დავლეწავდით. თავზე კი არ უნდა გახვიდე იმის გამო, რომ ჩვენი ძმების ძმა ხარ, გაიგე?!“

„მე გამიჩნდა კითხვა და დავსვი. თუ ამის გამო აქ ცემაა, მაშინ პალაჟენია კი არა, ტირანია ყოფილა. და ადმინისტრაციას რამეს კი არ აიძულებთ, მან ზუსტად იცის, რას როდის აკეთებთ და ეს თქვენი კი არა, იმათი პალაჟენია გამოდის“, — მშვიდად თქვა პატიმარმა.

„პალაჟენცების“ ბოგინის დასასრული ზონაზე

რა მიზნით აღებდა ციხის ადმინისტრაცია საკნებს ღამით და რა განაჩენი გამოუტანეს „ქურდებმა“ ნომერპირველ პატიმარს

„ამას ნახე, რა, რამდენს ბედავს“, — თქვა „პალაჟენეცმა“ და №0578-სკენ დასარტყმელად გაიწია. პატიმარმა ნაბიჯი გადადგა უკან და კბილებში გამოსცრა: „ხელი არ მომხვდეს!“. „პალაჟენეცი“ ცივად შედგა, მერე მაყურებლებს გადახედა და იმათ სახეზე ვერაფერი რომ ვერ ამოიკითხა, ისევ ილრიალა: „რაა?!“

„რა და, არ ვაპირებ ჩემი ცემა-ტყეპა ავიტანო. თუ პრეტენზია გაქვს, ოფიციალურად წამიყენე, ამიხსენი და თუ საცემი ვარ, მერე დამარტყი. ასე, როგორც მოგესურვება, ხელი იქნიო, ლახმაჩობაა და არ გაპატიებ“, — შეუტია №0578-მა.

„კარგი, ახლავე“, — გაეღიმა „პალაჟენეცს“. „შენ ბადრაგს შეგვადარე, ზონის მაყურებლები და პალაჟენეცი შეადარე ბადრაგს. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ახლა დადგე და მიიღო“.

„კარგი, დავდგები და მივიღებ, ოღონდ მითხარი, ღამით ბადრაგის გარდა ვინ დადის კამერებში და ვინ ლეწავს პატიმრებს, ანუ ალტერნატივა მითხარი შედარების და ვაღიარებ, რომ შემეშალა“, — მშვიდად უთხრა №0578-მა.

„რა გითხრა?!“ — გაოცდა „პალაჟენეცი“.

„ალტერნატივა“ — გაუმეორა №0578-მა.

„მე ეგ შენი პროფესორული ბაზარი არ მესმის, ქურდულად მითხარი და გავიგებ“, — გაბრაზდა „პალაჟენეცი“.

„ქურდულად გეტყვი: სხვა მაგალითი მითხარი, რას ან ვის შეიძლება შევადარო ადამიანი, რომელიც ღამე დადის და პატიმრებს ლეწავს“, — დაუკონკრეტა პატიმარმა.

„ვის და მაყურებლებს, ძმაო. თავის დროზე ასე ქურდებიც იქცეოდნენ, ახლა აღარ არიან ზონაზე, თორემ რა გგონია, ისინი არ დადიოდნენ ღამე?!“, — უპასუხა „პალაჟენეცმა“.

„ანუ შენ ამბობ, რომ ქურდები ღამე ადგებოდნენ, კამერებს დაივლიდნენ, პატიმრებს სცემდნენ და მერე საკანში ბრუნდებოდნენ. ამას მეუბნები ხომ?!“ — №0578-ს ირონიულად გაეღიმა.

„წადი“, — მოულოდნელად გამოაცხადა „პალაჟენეცმა“ და №0578 კამერიდან გავიდა.

„ამას რამე უნდა მოვუხერხოთ. მიუჩინეთ ვინმე, ვინც შეცდომას დააშვებინებს და მაგრად უნდა გაილახოს. სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს“, — გამოუცხადა მაყურებლებს „პალაჟენეცმა“.

„მაყურებლები ზედმეტებს აკეთებენ, ასე არ შეიძლება, მაგარი პროჭები არიან“, — იმ ამბიდან სამი დღის შემდეგ პატიმარ №0578-ს ნარზე ორი სხვა პატიმარი ჩამოუჯდა და საუბარი ამ ტექსტით დაიწყო.

№0578-მა ჯერ ერთს შეხედა მშვიდად, მერე მეორეს და ხმა არ გაუღია. მოსულებმა გაიღიმეს და საკნიდან გავიდნენ. ხუთ წუთში №0578-ს მაყურებლების კამერაში უხმეს.

„შენ რომ გითხრეს, მაყურებლები პროჭები არიანო, ხმა რატომ არ ამოიღე, პასუხი რატომ არ მოსთხოვე?!“ — გესლიანი ღიმილით ჰკითხა „პალაჟენეცმა“ და თან იმ ორ პატიმარს გადახედა, აქაოდა, უარყოფას აზრი არ აქვსო.

„მერე რა, ხმა რომ არ ამოვიღე?!“ — იკითხა №0578-მა.

„რა მერე რა ბიჭო? მაყურებლებზე თქვეს პროჭები არიანო და არ იმოქმედე. და ახლა კითხულობ, მერე რაო?!“, — აყვირდა პალაჟენეცი.

„როგორც ვიცი, ეს ორი, ჩემთან რომ იყო, კაი ბიჭები არიან. ანუ ვერც ერთ მათგანს „ნა რავნე“ ვერ დავუდგები, რადგან კაი ბიჭი არ ვარ. შესაბამისად, როცა ერთმა თქვა, მაყურებლები პროჭები არიანო, მეორეს უნდა ემოქმედა, მაგრამ რადგან იმან ხმა არ გაიღო, გამოდის დაეთანხმა. კაი ბიჭების ბაზარში მე რატომ უნდა ჩავრეულიყავი, რა უფლებით? რომ ეთქვათ, რატომ ერევიო, ხომ იქნებოდნენ მართლები. ჰოდა, ახლა თქვენც იცით, ეს ორი კაი ბიჭი მაყურებლებზე რას ფიქრობს და პასუხიც ამათ უნდა მოთხოვოთ“, — მამაოჩვენოსავით ჩაარაკრაკა №0578-მა.

„პალაჟენეცი“ გაშრა, მაყურებლებს გადახედა, ხმა იმათმაც ვერ ამოიღეს და ისევ №0578-მა განაგრძო: „ახლა მაინცდამაინც დაღამებას ნუ დაელოდებით, აქ გყავთ და თუ თვლით, რომ უნდა სცემოთ, აქვე სცემეთ. მე წიგნს ვკითხულობდი და თუ შეკითხვა აღარ გაქვთ, წავალ, კითხვას გავაგრძელებ“.

„პალაჟენეცმა“ თავი დაუქნია და №0578 საკნიდან გავიდა.

* * *

რამდენიმე თვის შემდეგ პატიმრებმა ქურდებთან დარეკვა მოახერხეს და „პალაჟენეცის“ ამბებს წვრილად მოუყვნენ. ქურდებმა პირდაპირი მითითება გასცეს, „პალაჟენეცი“ „შეეჭამათ“. ადმინისტრაციას ლამის სპეცდანიშნულების რაზმის შემოყვანა დასჭირდა, რომ გავეშებული პატიმრებისთვის ზონის ნომერ პირველი პატიმარი ხელიდან გაეგდებინებინა. სასტიკად ნაცემი „პალაჟენეცი“ გლდანის ციხის საავადმყოფომ არ მიიღო, რადგან მის სიცოცხლეზე პასუხს ვერ აგებდა — გაგიჟებული პატიმრები მას იქაც ემუქრებოდნენ. შესაბამისად, „პალაჟენეცმა“ ჭრილობები თავისუფლებაზე მოიშუშა, სამ დღეში კი გლდანის ციხის სამარტოო საკანში შეასახლეს და დარჩენილი სასჯელი იქ მოიხადა.

ანალიტიკა

ამერიკა დილემის წინაშეა, ევროპა ფინანსურ ზარალს ითვლის, უკრაინა ომის ზღვარზეა — რა ელის საქართველოს

მე-5 გვერდიდან

— მითუმეტეს ობამას საპრეზიდენტო ვადა იწურება. კონგრესში რესპუბლიკელების გამარჯვებით მისი რეიტინგი უფრო შეირყა. მას წარმატებული საქმეები სჭირდება?

— რა თქნა უნდა, ობამას არჩევნები ცხვირზე მოადგა. უკრაინა ამერიკელი რესპუბლიკელებისათვის დღეს იქცა ყველაზე მომგებიან ფაქტორად. ამერიკის არჩევნებში იშვიათია, საგარეო პოლიტიკური ფაქტორი გახდეს პირველი საპროპაგანდო თემა. ევროკავშირის სანქციების გაგრძელებით ამერიკულ ბიზნესს საფრთხე არ ემუქრება, ამერიკის ეკონომიკა უკვე გამოდის კრიზისიდან. ბოლო თვეებში იქ მნიშვნელოვანი ზრდის ტემპები ფიქსირდება, უმუშევრობა მცირდება დინამიური ტემპებით...

— ევროპელებისგან განსხვავებით, რომლებსაც რუსეთზე არა მხოლოდ ბიზნესდამოკიდებულება აქვთ, მათ ზამთარი აქვთ გადასატანი, ეძებენ რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად ალტერნატიულ გზებს?

— 5-6%-ით მცირდება უკვე ევროპის დამოკიდებულება რუსულ გაზზე. ამიტომ რუსეთი გაფაციცებით იყურება ჩინეთისა და ინდოეთისაკენ. რუსეთის საუკეთესო ეკონომიკურ პარტნიორად ჩინეთს განიხილავს მოსახლეობის თითქმის 80%. რუსეთს ის საფრთხე, პირველ რიგში, ჩინეთისა და ინდოეთისაგან ელის. ჩინეთს თავისი ინტერესები აქვს, რასაც კბილებით იცავს. მაგალითად, „როსნეფტის“ ხელმძღვანელები პუტინთან ჩივიან და ტირიან, ჩინელები გვატყუებენო. ისეთი ხელშეკრულებები იდება, რომ რუსეთი ჩინეთთან ვაჭრობით, პირიქით, წაგებულია. ინდოეთიცა და ჩინეთიც თავის მომავალს განიხილავენ არა რუსეთთან ერთად, არამედ ცივილიზებულ დასავლეთთან ერთად. ჩინეთში დღეს ათჯერ მეტი დემოკრატიაა, ვიდრე რუსეთში. არავის სურს, რუსეთისმაგვარ ტოტალიტარულ სახელმწიფოდ იქცეს.

— ეკონომიკური ფაქტორები გასაგებია, მაგრამ რუსეთი სამხედრო აგრესიას მაინც განაგრძობს. თქვენც თქვით, რომ უკრაინის საკითხზე ის კომპრომისზე არ წავა. უკრაინაში ომი დაიწყება?

— დიდი ომი არავის აწყობს. რუსეთისათვის მისაღები ფორმულაა გაყინული კონფლიქტები. უკრაინის ის ტერიტორია, სადაც უმეტესად რუსეთის მოსახლეობაა, ფორმალურად დარჩება უკრაინის შემადგენლობაში, რეალურად უკრაინა იქნება თითქმის არშემდგარი სახელმწიფო. პუტინი აცხადებს, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ხელს არ ვახლებთ, მაგრამ უნდა მოხდეს უკრაინის დეცენტრალიზაცია და ფედერალიზაციაო. ფედერალური სახელმწიფოა გერმანია, მაგრამ ისეთი ეკონომიკა აქვს, დაშლა არ ემუქრება. მაგრამ იქ, სადაც რეგიონებს შორის ეკონომიკური კავშირები სუსტია, საქართველოს მსგავსად, სეპარატიზმის აჩრდილი ყოველთვის რეალურია.

— ფედერალიზაციის იდეა რუსმა ექსპერტებმა კიევს ჯერ კიდევ ყირიმის ამბების შემდეგ მიაწოდეს.

— კიევმა მშვენივრად იცის, დღევანდელ რეალობაში რას ნიშნავს ფედერალიზაცია. არც რუსეთისთვისაც არის ეს საჩუქარი. რატომ ითმენს პუტინი ჩეჩნეთის ლიდერ კადიროვს? იმიტომ, რომ აქ დგას ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა-არყოფნის საკითხი. კადიროვი ურჩევნიათ სხვას, რომელიც ისლამური სახელმწიფოებისაკენ აიღებს გეზს. დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაცია დიდხანს ვერ გასტანს. ისლამიზაცია, ეს არის საფრთხე, რომელიც ემუქრება ევროპასაც და რუსეთსაც. ამ დღეებში ბრიტანეთის პრინცმა ჩარლზმა გააკეთა განცხადება, ასეთი დიდი საფრთხე არ უნახავს ბრიტანეთსო.

— თქვენი აზრით, გააგრძელებს ევროკავშირი სანქციებს?

— გადაწყვეტილება, პრაქტიკულად, უკვე მიიღეს ბრიუსელში მინისტრებმა. იქ შავ სიაში შეიყვანეს სეპარატისტების ოთხი ლიდერი, თუმცა იმათ ევროპა არც აინტერესებთ. მალე ახალი შავი სია გამოქვეყნდება. სულ სხვაა სანქციები ირანის მიმართ. 30 წელია ქვეყანა ამ რეჟიმში ცხოვრობს, შიმშილით იქ არავინ კვდება.

— დღეს ბევრი ადარებს უკრაინის პრობლემას საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომს. მაშინ მართლა არ გამოიყენა დასავლეთმა რუსეთის დასჯის შესაძლებლობა?

— 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომში ევროპას მეტის გაკეთება შეეძლო, მაგრამ არ გააკეთებდა. ნუ ვედრებით უკრაინას. უკრაინასთან უკვე საუბარია იარაღის მიწოდებაზე და ჩვენთან კი მაშინ ერთი გემი შემოვიდა ფოთში, სასმელი წყალი და პამპერსები ჩამოგვიტანეს. ბოლო დღეებში სააკაშვილიც საყვედურობს ევროპას, ღარიბაშვილიც, 2008 წელს რომ გეღონათ რამე, ეს არ მოხდებოდაო. რუსეთისათვის დღეს საქართველოს პრობლემა არ არის აქტუალური, ან პრიორიტეტული.

— ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ რუსეთი კვლავ გააქტიურდა აფხაზებისა და ოსების მიმართ.

— ეს არის ერთგვარი სიგნალი. რუსეთი ელის საპასუხო ნაბიჯს. ოსებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო 2014 წლის დამლევს, მაგრამ თითქოს რუსეთი არ ჩქარობს, ელოდება საქართველოს ხელისუფლებასთან ურთერთობის დარეგულირებას. რუსეთი ამ მთავრობისაგან რაღაც სხვას ელოდა და არა აბაშიძე-კარასინის ფორმულას. პირველ თვეებში ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერმინი „ოკუპირებული ტერიტორიები„ არ წამოსცდენია. როგორც ჩანს „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაუძლო ნაციონალური მოძრაობის ისტერიას და მათი ევროპელი მოკავშირეების საყვედურებსაც. დაეწყოთ მოლაპარაკებები. პუტინმა პირდაპირ თქვა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ ვიცი როგორ არის შესაძლებელიო, მაგრამ არ უთქვამს შეუძლებელიაო. მისი განცხადებების დინამიკა მეტყველებს, რომ ის ელოდებოდა მოლაპარაკებებს. ის საქართველოსგან ელოდებოდა ნატოსკენ სვლის შეჩერებას. ნატო-ს არც ერთ წევრ ქვეყანაში ჯერ ნატო-ს საწვრთნელი ცენტრები არ შექმნილა და ისე არ მიულიათ ნატოში.

P.S. უკრაინაში ვითარების დარეგულირებასთან დაკავშირებით 11 თებერვალს, მინსკში გამართულ საკონტაქტო ჯგუფის თითქმის ორსაათიან შეხვედრაზე შერიგების გადაწყვეტილება მიიღეს. მხარეებმა შეათანხმეს ცეცხლის შეწყვეტასა და შეთანხმების პირობების შესრულების კონტროლის მექანიზმები, კონფლიქტის ზონიდან მძიმე შეიარაღების გატანის სქემაც, თუმცა დონეცკის თვითაღიარებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა დენის პუშილინმა განაცხადა, რომ ცეცხლის ფაქტობრივ შეწყვეტაზე საუბარი ნაადრევია, სამაგიეროდ ვლადიმერ პუტინმა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება უკვე გაახმოვანა, რომელიც ძალაში 15 თებერვალს, 00:00 საათზე შევა.

მაკა ლომაძე
555-27-95-13

ინტერვიუ საქართველოს „ნიჭიერთან“

როდის გადადის მოგებული ბინაში, რაფომ ემადლიერება სანდრა რულოვსს და რაფომ აღზრდის შვილს ქართველ ევროპელად თემო

ოცდაოთხი წლის თემო არაბიძე საქართველოს „ნიჭიერია“. ამ ახალგაზრდა ადამიანში ცხოვრების განუზომელი სიყვარულია, იმედი და რწმენა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება. ამბობს, რომ ყველა ადამიანი შეზღუდულია. ინვალიდის ეტლსმიჯაჭვულია, მაგრამ დიდი შინაგანი თავისუფლება აქვს. მორწმუნეა და წუხს, რომ ყველა კვირა დღეს ვერ იცლის უფლისთვის. თუმცა, ცხოვრებაში მუდამ სიკეთეს თესავს და ასხივებს კიდეც. ცხოვრების ჟინმა, მიზანდასახულობამ და სიყვარულის უნარმა გრანდიოზულ პროექტშიც კი გაამარჯვებინა.

— თერჯოლაში დავიბადე და გავიზარდე. ვცხოვრობ დასთან ერთად, რომელიც მივლის და დედის მაგივრობას მიწევს. 4 წელია თბილისში გადმოვედით. მამა იმერეთშია. 2009 წლის 16 აგვისტოს საღამოს, მეგობრებთან ერთად, მანქანით ქალაქში გავისეირნეთ. ძალიან სწრაფად მიდიოდნენ. არ მიყვარს სიჩქარე, ვეუბნებოდი, შეანელეთ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს. ჩვენი „ოპელ ასტრა“ მდინარეში გადავარდა. უკანა სავარძელზე ვიჯექი. სხვები უვნებლად გადარჩნენ. მე კი... გარკვეული პერიოდი კომაში ვიყავი. დედამ ისე განიცადა, ზუსტად წელიწადნახევარში გარდაიცვალა. 78 000 ლარი დამიჯდა მაშინ მკურნალობა. თანხა სრულად დამიფარა დაზღვევამ. სანდრა რულოვსი რომ არა, ალბათ ცოცხალი არ ვიქნებოდი. ის დღემდე ბინის ქირასაც მიხდის. ყოველთვის, როცა ვეხუტები, თითქოს დედის სითბოს ვგრძნობ.

— იმ პერიოდში სწავლობდი?

— ქართული ხალხური ცეკვების დამწყები ქორეოგრაფი ვიყავი. ჩემი სტუდია უნდა ამეღო და ამ განხრით მემუშავა, მაგრამ სამწუხაროდ, ეტლს მივეჯაჭვე. თუმცა, ჩემ ამბავზე მეტად, დედის სიკვდილი განვიცადე. დღეს, მე და ჩემი მეწყვილე ქეთი, პარასპორტსმენები ვართ. პარალელურად, სპექტაკლებზე ვმუშაობთ. ჯერჯერობით, დამწყებები ვართ, მაგრამ გვინდა, განვავითაროთ ეს სფერო საქართველოში და მუდმივად დავანახოთ ადამიანებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს. ვსწავლობ თავისუფალ უნივერსიტეტშიც, ბიზნესადმინისტრირებაზე. 4-თვიანი კურსებია და იმედია, სწავლის დასრულების შემდეგ დავსაქმდები კიდეც.

— ქეთი როგორ გაიცანი?

— ქეთი სოციალური ქსელის საშუალებით დამიკავშირდა. პოლონელების პროექტი იყო, მთხოვა, ერთად ვიცეკვოთო და დავთანხმდი. ავარიის შემდეგ, მალე დავიწყე ფიქრი, რა შეიძლება ეტლსმიჯაჭვულმა ადამიანმა გააკეთოს... ამ ფიქრმა მიმიყვანა „ნიჭიერამდე“. ქეთიც ქორეოგრაფია. მან დადგა პოლონური პროექტისთვის ცეკვა — ჩვენი სადებიუტო გამოსვლა „ნიჭიერში“. მეორე ცეკვა ინტერნეტიდან ამოვიღეთ, მესამე ცეკვის დადგმაში კი ძალიან დაგვეხმარა აჩი სოლოღაშვილი.

— ელოდი „ნიჭიერში“ გამარჯვებას?

— ეს საოცრება იყო. იმ დღეს დედას დაბადების დღე იყო. დედა ყოველთვის იბრძოდა, წარმატებისთვის მიმეღწია, ამიტომ ჩემი გამარჯვება მას მივუძღვენი. მამის სახეზე ამდენი ხნის მერე ისევ ღიმილი რომ დავინახე, მარტო მაგისთვის ღირდა ეს ყველაფერი. ტექნიკურად და მატერიალურად, მხარში დამიდგა ჩემი მეგობრის ორგანიზაცია „სიკეთის კვალი“, რომლის წევრებიც ფლაერებს არიგებდნენ, სოციალურ ქსელში წერდნენ... ყველას უღრმესი მადლობა. ფანტასტიური ჟიური იყო. არც დაძაბულობა და ინტრიგები ყოფილა.

— „ნიჭიერში“ მონაწილეობა უდიდესი ფიზიკური, ემოციური წნეხი და შენი ჯანმრთელობისთვის დიდი რისკი არ იყო?

— ნამდვილად. ჩემი ექიმი მეუბნებოდა, არ გინდა ამის გაკეთებაო. რაც შეეხება ემოციურ ფონს — ვცდილობდი, დამებალანსებინა, მაგრამ მაინც საოცრად რთულია, გამოხვიდე ფილარმონიის სცენაზე, სადაც ამხელა აუდიტორიაა და ტელევიზიით კი მთელი საქართველო გიყურებს. არაფერი უნდა შეგეშალოს. ეს ძალიან საპასუხისმგებლოა. არ უნდა მოხვდე „პრიკოლებში“. გამბედაობაა საჭირო, ასევე თავდაჯერება, თუმცა შეიძლება, ამანაც არ გიშველოს... რისკიც საჭიროა. მიყვარს რისკი, მიზანდასახულიც ვარ და ალბათ ამან გადაწყვიტა ჩემი გამარჯვება.

— როგორ ახერხებ, ასეთი მხიარული იყო? თითქოს არასოდეს იწყენ...

— ზოგადად, არ მიყვარს მოღუშულობა. მეგობრებს არასოდეს ვაჩვენებ ცუდ განწყობას. როცა მარტო ვრჩები, შეიძლება ზოგჯერ ფიქრმა ისე წამიღოს, თავი ვერ დავაღწიო. ზოგჯერ, ნოსტალგია მაქვს.

— ოცნებობ კიდეც?

— გამოგიტყდებით, ოცნება ბავშვობიდან არ მიყვარს. მგონია, ფუჭია. არ სრულდება და რატომ უნდა ვიოცნებო? „ნიჭიერში“ გამარჯვება ჩემი მიზანი იყო, დავისახე და მივაღწიე. „ვოცნებობ მაგარ ტელეფონზე“, ვინმე თუ იტყვის და იყიდის, ეს ოცნების ახდენა კი არა, სურვილის განხორციელებაა. არსებობს მხოლოდ სურვილი და მიზანი.

— ანუ, რეალისტი ხარ?

— რეალისტი და იდეალისტიც. ზოგადად, რაც მეტს გვიკეთებენ, მით მეტი გვინდა. არ გვაქვს უნარი, დავაფასოთ ის, რაც გვაქვს. ეს ძალიან ცუდია. ჩემი სურვილია, განვითარდეს ჩემი ქვეყანა, მაგრამ არ მიყვარს, როცა ხელისუფლება რაღაც კარგს აკეთებს და ამას ვერ ხედავენ. თუმცა, დღეს უკან მივდივართ და არ მომწონს. ახლა ძალიან მეშინია ღამით გარეთ გასვლის, რადგან ორ ჩემ ძმაკაცს მანქანა გაუტეხეს. აპოლიტიკური ვარ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკაზე ლაპარაკობს, ზოგჯერ ჩავერთვები ხოლმე. მგონია, პოლიტიკოსებმა უნდა მიხედონ პოლიტიკას, ხელოვანმა — ხელოვნებას, ჟურნალისტმა — თავის საქმეს, ბიზნესმენმა — ბიზნესს... საქართველოში ყველას რომ ჰქონდეს ეს გააზრებული, უფრო წინ წავალთ. ჩემი ქვეყანა თბილისში მანქანების მოძრაობას ჰგავს. როგორი ქაოსიცაა ქუჩაში, ისეთი ქაოსია ქვეყანაშიც. პატრიოტი ვარ და ძალიან მიყვარს სამშობლო. ევროპა ძალიან კარგია, მაგრამ ზოგი ცდილობს იქედან მხოლოდ ცუდი გადმოიღოს. ზოგი ფიქრობს, იქ მარიხუანას მოწევა არ უკვირთ და ევროპელობა მაინცდამაინც იმას ნიშნავს, აქაც მოწიო მარიხუანა. კარგი, რა... რამდენი კარგი რამაა ევროპაში, ის გადმოიღე. მინდა, ჩემი შვილი იყოს ქართველი ევროპელი და არა ევროპელი. ანუ მისწრაფებით და განვითარების სურვილით ევროპელი, რომელიც არც ქართულ ტრადიციებს, ფესვებს დაივიწყებს. ძალიან მიყვარს ფილმი „ფესვები“. მასში ზუსტად დევს ის, რაც ქართველ ევროპელს შეეფერება. ევროპაში განათლება უფრო განვითარებულია. ქართველ ადამიანს იმის გაკეთება შეუძლია, რაც ბევრ სხვას არ ძალუძს. უდავოდ უნიჭიერესი ერი ვართ. თუ ამას გამოვიყენებთ და არ ვიზარმაცებთ, ბევრს მივაღწევთ. ილია ჭავჭავაძის სურვილიც ხომ ეს იყო — საქართველოში ქართველი ევროპელი ბავშვების თაობები წამოსულიყო.

— თემო, შენი დღის რეჟიმი როგორია?

— ორშაბათს ლექცია არ მაქვს და ამიტომ მეგობრებს ვხვდები ხოლმე. ხშირად ჩაწერაზე ვარ. თუ გადავიღალე, კლუბში მივდივარ და მთელი ღამე ხმამაღალ მუსიკას ვუსმენ, რაც ჩემთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა. სამშაბათს ვმეცადინეობ, ვკითხულობ ან მეგობართან გავდივარ. კვირაობით, ვცდილობ ტაძარში ვიყო. უფლის მრცხვენია, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებ, მაგრამ როცა მივდივარ, ძალიან მსიამოვნებს და დიდხანს ვრჩები. სულ სხვანაირად ვგრძნობ თავს ეკლესიის წიაღში. მოუცლელობის გამო დაგვავიწყდა ღმერთი. ვფიქრობ, ყველამ უნდა იაროს ეკლესიაში. როცა შველა გვინდა, მაინც უფალთან მივდივართ ბოლოს... სიცოცხლე ყოველთვის მიყვარდა. უბრალოდ, ვერ ვაფასებდი. ახლა, ვაფასებ. დამიჯერეთ, ჯანმრთელობაზე, სიყვარულზე, ქველმოქმედებასა და თანადგომაზე მაგარი არაფერია ამ ქვეყანაზე. რამდენიმე დღის წინ, მე და ჩემმა მეგობრებმა 10-შვილიან შეჭირვებულ ოჯახში ტანსაცმელი და პროდუქტი მივიტანეთ. სწორად არ მიმაჩნია სიკეთის გაპიარება. რაღა საჭიროა ყვირილი? ჩვენ შეგვეძლო, ორგანიზაცია გაგვეკეთებინა, მაგრამ ჩუმად უფრო გვსიამოვნებს. გავიგებთ, რომ ვიღაცას ძალიან უჭირს და ვეხმარებით ცალკეული აქციებით. ყველა წარმავალი ვართ და კარგი საქმე უნდა ვაკეთოთ, რომ სასუფეველი დავიმკვიდროთ. მინდა, ყველა ბედნიერი და დღეგრძელი იყოს და ბევრმა აკეთოს სიკეთე, რომ კიდევ უფრო ბევრმა ადამიანმა მიბაძოს მათ.

— როგორ შეიცვალა შენი ცხოვრება „ნიჭიერის“ მერე?

— ქუჩაში მცნობენ, ერთად ფოტოს გადაღებას მთხოვენ. ვცდილობ ყველას გავუღიმო. მინდა, ყველას მოვუბოდიშო, ვისაც ვერ ვაქცევ სათანადო ყურადღებას. ჩემთვის ევროპა თანაბარი გარემოა ყველასთვის. მსურს, ასე იყოს ჩემ ქვეყანაშიც. ვიბრძოლე, დამენგრია სტერეოტიპი — შეზღუდული შესაძლებლობები.

— როგორ ფიქრობ, საიდან დამკვიდრდა ეს სტიგმა?

— არ ვიცი. არც ის ვიცი, საერთოდ, რატომ მალავენ შშმ ბავშვებს მშობლები სახლში. უფროსები არიან დამნაშავეები. ამით უფრო უწყობენ ხელს, რომ თავში ჩაიკეტონ და მოწყდნენ დანარჩენ გარემოს. არ მიყვარს ტერმინი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი. თუ დაუფიქრდებით, ყველა ადამიანი შეზღუდულია. ზოგს ცეკვა არ შეუძლია, ზოგს — სიმღერა...

— სტერეოტიპის დამსხვრევა ნამდვილად გამოგივიდა, მთავარი პრიზი ბინა უკვე მოგცეს?

— მომცეს, სამთავრობო რეზიდენციის წინ. არემონტებენ და მალე გადავალ. რადგან ბინა არ მქონდა, ქეთიმ დამითმო, არ გავიყავით. სამაგიეროდ, შუაზე ვიყოფთ, 20 000 ლარს და 10 000 ლარის ტექნიკას... ბევრი გეგმა მაქვს — მინდა დავამთავრო თავისუფალი უნივერსიტეტი, შემდეგ დავიწყო ჩემი პატარა ბიზნესი. მყავს საყვარელი ქალი, მინდა, ოჯახი შევქმნა. უპირველესი სურვილი კი ფეხზე დადგომაა. რასაც ადამიანი მოინდომებს, ადრე თუ გვიან აუცილებლად მიაღწევს. ექიმიც მეუბნება, რომ ეს შეუძლებელი არაა, უბრალოდ, თანხებთანაა დაკავშირებული — ისრაელში სამკურნალოდ 50 000 ევრო მჭირდება.

ვერსიანიუსი

ქუთაისში გარდაცვლილი გოგონას ახლობლებმა ქალაქის ცენტრალური გზა გადაკეტეს

დაღუპულის ახლობლები გარდაცვლილი 20 წლის ნანა გიგლემიანის დაკრძალვას იქამდე არ აპირებენ, ვიდრე არ დააკავებენ პირს, რომელიც მას ავტომობილით დაეჯახა.

„არ დავკრძალავ ჩემს შვილს. ხვალ პარლამენტთან მივიტან სასახლეს და ვიქნებით მანამ, სანამ არ დააკავებენ პირს, რომელიც ჩემს შვილს დაეჯახა“, — აცხადებს გარდაცვლილის დედა რუსუდან ნანავა.

ნანა გიგლემიანი გასულ კვირას ავტოავარიის შედეგად დაიღუპა. მას აღმაშენებლის გამზირზე მაღალი სიჩქარით მოძრავი მანქანა დაეჯახა.

„პირველი“

პენსიონერი ტუალეტში არ შეუშვეს

ამ უარის გამო მოხუცმა ბანკს უჩივლა და კომპენსაციად 2,5 ათასი დოლარიც მიიღო. ვარშავის სასამართლომ პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი ბანკი ekao S.A. დამნაშავედ სცნო და პენსიონერისთვის კომპენსაციის გადახდა დააკისრა. მიზეზი კი ის გახდა, რომ 83 წლის იუზეფ გლუხოვსკი, რომელიც ამავე ბანკის კლიენტი იყო, ერთ-ერთ განყოფილებასთან მივიდა და საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება ითხოვა,მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. მოხუცმა დახმარება სხვა ბანკშიც ითხოვა, რომლის კლიენტიც ასევე იყო, მაგრამ იქ მასხრად აიგდეს. დაცვამ ხელიც კი ჰკრა, უსახლკარო ხომ არ ხარო. გაჭირვებული პენსიონერი ბოლოსდაბოლოს ერთ-ერთ სამეურნეო შენობაში შეიყვანეს, მაგრამ იქ შუქი არ იყო და კაცმა ტანსაცმელი დაისვარა. სახლში ავტობუსით ვერ დავბრუნდი, რადგან საშინელი სუნი ამდიოდა, — დაიჩივლა გლუხოვსკიმ. მან ბანკებისგან ბოდიშის მოხდა და კომპენსაციად ტანსაცმლის ფული მოითხოვა. თუმცა, დაწესელებაში განაცხადეს, რომ მას კლიენტების ანგარიშების მომსახურება ევალება და არა ტუალეტით უზრუნველყოფა. შეურაცხყოფილმა პენსიონერმა სასამართლოში იჩივლა, სადაც დაადგინეს, რომ ბანკმა კლიენტის ღირსება შელახა დამ ას შესაბამისი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს.

ᲐᲝᲘᲒᲔᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲪᲘᲮᲔᲨᲘ

პოლონურ ლაგტარიაში უჩვეულო ლოტი თამაშდება. მოგებულს შეუძლია ერთი დღე გისოსებს მიღმა გაატაროს. გატამაშების ჩატარებას ტავად ქვეყნის სასჯელაღსრულების სამინისტროს ადმინისტრაცია გეგმავს. იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს შეცვლის პოლონელების წარმოდგენას ციხეებზე და მიდგომას იმ ადამიანების მიმართ, ვინს იქ იხსიდ სასჯელს. უკვე მომავალი თვის დასაწყისში გტამაშდება ერთი დღე კამერაში, სადაც არის საწოლი, პატარა მაგიდა და სკამი და სველი წერტილი.

ჯარიმა გამსკდარი პრეზერვატივისთვის



საფრანგეთის სასამართლომ ქალაქ ტავერნის მუნიციპალიტეტის მრჩეველს 9 ათასი ევროს გადახდა დააკისრა იმის გამო, რომ მან 11-მეტრიანი გასაბერი პრეზერვატივი გახეთქა, რომელიც შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად იყო გამოფენილი. ალექსანდრ სიმონი საზოგადოების საკუთრების დაზიანებისთვის დამნაშავედ სცნეს და ათასი ევროს ჯარიმის გადახდა დააკისრეს, 818 ათასი ევრო კი მორალური ზიანის ასანაზღაურებლად უნდა გადაიხადოს. როგორც ზნეობისთვის მებრძოლი სიმონი აცხადებს, სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გაასაჩივრებს, იმ დღეს კი, არ შემეძლო შიდსთან ბრძოლის ის გიგანტური სიმბოლო ქალაქის მთავარ მოედანზე გამოკიდებული დამეტოვებინა, სადაც უამრავი ბავშვი დადისო. მუნიციპალიტეტის მრჩეველი მოსამართლის ვერდიქტმა ვერ შეაშინა და აცხადებს, რომ არც შემდეგში დაჯდება გულხელდაკრეფილი, თუ მერია „მსგავს პროვოკაციას“ კვლავ გაიმეორებს.

ექიმების შეცდომისთვის მილიონს გადაუხდიან

საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორ ოჯახს დაახლოებით 2 მილიონ ევროს გადაუხდიან იმ შეცდომისთვის, რაც 20 წლის წინ ექიმი-გინეკოლოგების წყალობით მოხდა. ქალაქ კანის კლინიკის ექიმებს ოპრი ახალშობილი გოგონა აერიათ» ისინი ერთ ბოქსში ჰყვდათ მოთავსებული, როვა ფიზიოლოგიურ სიყვითლეს მკურნალობდნენ. ათი წლის შემდეგ, ერთ-ერთი გოგონას მამამ შეამჩნია, რომ ქალიშვილის კანის ფერიო მისაზე გაცილებით მუქი იყო და გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება გადაწყვიტა. შედეგად გაირკვა ის, რომ არც თვითონ და არც მისი მეუღლე არ იყვნენ გოგონას ბიოლოგიური მშობლები. მათ მოძებნეს მეორე დაზარალებული ოჯახი და ერთობლივი საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, თუმცა, გადაწყვიტეს, რომ შვილებს არ გაცვლიდნენ, რადგან ეს ბავშვებისთვის ფსიქოლოგიური დარტყმა იქნებოდა. სასამართლო პროცესი თითქმის 11 წელს გაგრძელდა და საბოლოოდ მოსარჩელეების სასარგებლოდ დასრულდა. კანის კლინიკამ მათ დაახლოებით 2 მილიონი ევროს კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. თუმცა, ოჯახები მაინც უკმაყოფილები არიან თანხით (ისინი 12 მილიონს ითხოვდნენ) და განაჩენის გასაჩივრებას აპირებენ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲒᲝᲛᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

სწავლულები ამომავალი მზის ქვეყნიდან კვლავ აგრძელებენ მსოფლიოს გაოცებას. ამჯერად მათ ახალი მოწყობილობა — ბედნიერების გამზომი შექმნეს. სიახლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დამსაქმებლებს დაეხმარონ, თანამშრომლები უფრო ბედნიერები და კმაყოფილები გახადონ, თუკი მათი ემოციური მდგომარეობის შესახებ ექნებათ ინფორმაცია. შედეგის მიხედვით, ხელმძღვანელობას შეეძლება, ესა თუ ის გადაწყვეტილება მიიღოს ხელქვეითების სამუშაო პირობებთან დაკავშირებით და ამით ხელი შეუწყოს მათი შრომისუნარიანობის ამაღლებას. მოწყობილობა, რომელიც საკრედიტო ბარათის ზომისაა, აჩვენებს, რას აკეთებს მისი მფლობელი: ზის, ფეხზე დგას, ბეჭდავს თუ თავს აქნევს. ამის გარდა, სენსორები იწერს, ვინ ელეპარაკება მას იმ მომენტში. ამბობენ, რომ „ბედნიერების მზომი“ მოწყობილობა იაპონიაში გაყიდვაში სულ მალე, გაზაფხულიდან გამოვა.

მტვერსასრუტი დიასახლისს თავს დაესხა

ეს ინციდენტი, რომელიც კინაღამ ტრაგედიით დასრულდა, სამხრეთ კორეაში მოხდა. 52 წლის ქალბატონი, რომლის ვინაობაც არ ხმაურდება, რობოტი-მტვერსასრუტის მოულოდნელი „თავდასხმით“ დაზარალდა. ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა მან შემთხვევის ადგილზე მისულ სასწრაფო სამსახურის თანამშრომლებს. მათ ქალი იატაკზე დაგდებული ნახეს, რომლის თმაც მტვერსასრუტში იყო ჩათრეული. დაზარალებული ამბობს, რომ რობოტის მუშაობის დროს ის ხალიჩაზე იყო წამოწოლილი. ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი რობოტი მითითებული პროგრამის მიხედვით მუშაობდა და იატაკს წმენდდა. სამწუხაროდ, სულიერი ობიექტების ამოცნობა მოწყობილობას არ შეუძლია და ჩანს, დიასახლისი თმებით „დაითრია“. მაშველებმა შეძლეს ქალის აკურატულად დახსნა რობოტის „მარწუხებიდან“, ის სერიოზულად არ დაშავებულა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

			1					7
5	1		8			4		
		4		3			6	5
7		3						9
				2				
4						7		1
1	5			8		2		
		8			7		5	4
2					3			

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

						3		
8				7	1	9		
7					8		6	
			5				2	9
			1		7			
1	4				2			
	1		7					5
		2	3	1				6
		5						

ᲠᲗᲣᲚᲘ

			5					2
3		8	1				9	7
						4		
2			8			7		
	5	7		6		1	8	
		6			4			3
		1						
5	8				1	3		9
4					3			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	7				8	6		
6			3	1	9			
		2		6			1	
		8	9				2	
	3			2			9	
	9				1	3		
	4			3		8		
			6	9	5			4
		5	8				3	

ᲭᲝᲠᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲙᲠᲘᲫᲣᲚᲘᲐ

ჭორი სასარგებლოა ოფისის ფუნქციონირებისთვის: შეიძლება კოლეგების გასაფრთხილებლად გამოიყენო, რომლებიც ვერ ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას ან „ახალტურებენ“. ამსტერდამის უნივერსიტეტის მკვლევარებმა უარყვეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამსახურში ჭორები მხოლოდ თანამშრომლების მანიპულირებისკენაა მიმართული და ზიანისმომტანია. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ჭორი ყოველთვის ნეგატივი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ის საშუალებას აძლევს ადამიანებს, მოაგროვონ და შეამოწმონ ინფორმაცია, გაერთონ ერთმანეთთან ლაპარაკით და დაიცვან საკუთარი ჯგუფი, — ამბობენ სწავლულები. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევოლუციის პროცესში ჭორები მნიშვნელოვან სოციალურ როლს ასრულებს. ერთ ადამიანს არ შეუძლია დათვს გაუმკლავდეს ან მამონტი დაიჭიროს, ჯგუფს კი შეუძლია, — ხსნიან მეცნიერები. ჯგუფის სარგებელი აშკარაა, მაგრამ ყოველთვის არის საშიშროება, რომ ზოგიერთი „ხალტურშიკი“ ცუდად შეასრულებს თავის ფუნქციას. შედეგად კაცობრიობამ განავითარა ქცევის აუცილებელი სტანდარტები და მეტყველების ძალა საშუალებას გვაძლევს სხვები გავაფრთხილოთ.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲮᲔᲖᲔ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ

სიერა-დე-უეტორის ეროვნული პარკი, რომელიც გრანადაზე მდებარეობს, ასევე კომპლექსი Cabanes ais arbes და კაბანეროსის დაცული ტერიტორია, მსურველებს დასვენების ახალ საშუალებას სთავაზობს — ტურისტებს ხეზე, „ბუდეებში“ საცხოვრებლად იწვევენ. ეს მყუდრო პატარა სახლები შვიდი მეტრის სიმაღლეზე დგას. იქ შეღწევა დაკიდული ხიდების მეშვეობით შეუძლიათ. ამ „ბუდეებში“ ელექტროენერგია არ არის, თუმცა, კლიენტები ამის გამო პრობლემას არ წააწყდებიან — ეს ქოხები ისეა მოწყობილი, როგორც სამვარსკვლავიანი სასტუმროს ნომრები. არის პატარა სამზარეულოც, თუმცა, საუზმეს ტურისტებს ქვევიდან კალათებით უგზავნიან. ამ უჩვეულო დაწესებულებაში მოხვედრა, ბავშვების გარდა, ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ერთი ღამის ღირებულება 90-დან 150 ევრომდეა. ასეთი კომპლექსები გარემოს არ აბინძურებს, რადგან ბიოტუალეტებით არის აღჭურბილი. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ხეზე შესკუპებულ სახლებს პრობლემებიც აქვს — ზიანს თავად ბუნება აყენებს, ამიტომაც მოვლა სჭირდება. გარდა ამისა, საშიშროებას წარმოადგენს კოდალებიც.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲜᲢᲔᲑᲐᲓ ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ

სინგაპურში უპილოტო მფრინავი აპარატები გამოჩნდა, რომელთაც რესტორნებში ოფიციანტები უნდა შეცვალონ. დრონები Infinium Robotics, რომელთაც ორ კილოგრმამდე საჭმლისა და სასმელის გადატანა შეუძლიათ, ერთ-ერთ ადგილობრივ ბარში წლის ბოლომდე დაიწყებენ მუშაობას. რობოტებს კომპიუტერული პროგრამა მართავს და სივრცეში ინფრაწითელი გადამცემების მეშვეობით გადაადგილდებიან. გარდა ამისა, ყოველი მათგანი აღჭურვილია კამერით. აღსანიშნავია, რომ კაფე-ბარებისა და რესტორნების რობოტებით აღჭურვის გადაწყვეტილება ამ სფეროშო მუშა-ხელის ნაკლებობამ გამოიწვია. ამ მომენტისთვის, სინგაპურში ოფიციანტების დეფიციტი დაახლოებით 7 ათასია. ადგილობრივ ახალგაზრდობას არ სურს ამ სფეროში მუშაობა დაბალი ხელფასის გამო, თუმცა დრონებით მომსახურე პერსონალის სრულად ჩანაცვლება მაინც არ მოხერხდება, რადგან საფრენ აპარატებს მხოლოდ მაგიდამდე შეუძლიათ კერძების მიტანა, მათი განაწილება კი ოფიციანტებს მოუწევთ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	4	1	2	8	9	7	6	3
7	3	6	5	4	1	2	9	8
2	9	8	3	7	6	5	1	4
4	2	7	1	6	5	3	8	9
3	8	9	4	2	7	1	5	6
1	6	5	9	3	8	4	2	7
9	1	4	8	5	3	6	7	2
8	7	3	6	1	2	9	4	5
6	5	2	7	9	4	8	3	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	1	4	2	5	8	9	7	6
2	9	8	7	6	4	3	1	5
7	6	5	3	1	9	8	4	2
1	5	3	4	2	7	6	9	8
9	8	6	5	3	1	7	2	4
4	2	7	9	8	6	5	3	1
8	7	2	1	9	5	4	6	3
6	4	1	8	7	3	2	5	9
5	3	9	6	4	2	1	8	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	1	5	9	8	7	3	4	2
3	4	2	1	5	6	7	9	8
9	8	7	4	3	2	6	1	5
2	9	6	5	7	4	8	3	1
8	7	3	6	2	1	4	5	9
1	5	4	3	9	8	2	6	7
7	3	1	8	6	9	5	2	4
5	2	9	7	4	3	1	8	6
4	6	8	2	1	5	9	7	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7	8	9	6	5	4	3	2	1
3	4	6	2	1	9	5	7	8
5	2	1	3	8	7	9	6	4
4	7	8	1	3	2	6	9	5
2	6	3	4	9	5	1	8	7
1	9	5	8	7	6	4	3	2
9	5	4	7	6	8	2	1	3
8	3	2	9	4	1	7	5	6
6	1	7	5	2	3	8	4	9

მე-10 გვერდი: 1. კამბოჯა; 2. ასლი; 3. ბებუთი; 4. ჯუმბერი; 5. ეპითეტი; 6. პლანტაცია; 7. თირსოსი; 8. ტახი; 9. ალაბამა; 10. ინტელექტი; 11. იაგანი; 12. სეითი; 13. მათრახი; 14. აკაცია; 15. კადეტი; 16. პარიკი; 17. ვიაგრა; 18. კოატა; 19. რაინდი; 20. იგრიკა; 21. გეენა; 22. გიდი; 23. ირონია; 24. ოტავა; 25. ალასკა; 26. დოტაცია; 27. ურო; 28. ვაპორეტო; 29. ტოლმა; 30. დიაცი; 31. რონდო; 32. ნეტო; 33. სეირი; 34. „ოპელი“; 35. რაი; 36. ციგა; 37. ემი; 38. ანა; 39. ორხაო; 40. მური; 41. კუ; 42. არესი; 43. ექო; 44. ჰაე; 45. რკო; 46. ადიტი; 47. დოსიე; 48. ტემზა; 49. ოცი; 50. ბრავისიმო; 51. პიტნა; 52. უზი; 53. იაჰვე; 54. ტყე; 55. ბოუი; 56. კივუ; 57. ილი; 58. მატე; 59. ეა; 60. რიდე; 61. დეპო; 62. ოე. 63. კიოტო.

მე-12 გვერდი: 1. პარიტეტი; 2. ჩარდაში; 3. პაპარაცი; 4. რელიგია; 5. ტესტი; 6. არამისი; 7. დედამთილი; 8. შაჰრიარი; 9. არაგვი; 10. ალხასტაისძე; 11. სელაპი; 12. აიდაჰო; 13. ამატერასუ; 14. ნიამეი; 15. ალია; 16. ვარანი; 17. თმა; 18. დალმატინი; 19. პრაიდი; 20. ცხარე; 21. აია; 22. ინტერნატი; 23. ალტი; 24. კასპი; 25. აჩმა; 26. სინი; 27. აბატი; 28. ლიე; 29. რქა; 30. ტომ; 31. ბაირონი; 32. ტალკი; 33. მალა; 34. ოცი; 35. რეა; 36. ონი; 37. შიოლა; 38. იფი; 39. აგულიასი; 40. პასატი; 41. ალაო; 42. ტერცია; 43. დაბღიშვილი; 44. ალი; 45. ალო; 46. კაა; 47. ტაეკვონდო; 48. ტრაკაი; 49. იდო; 50. ობსიდიანი; 51. სიერა; 52. ანტენა; 53. ფიგუ; 54. ელი; 55. აბელი; 56. ძნა; 57. ფალაური; 58. აკრიბია; 59. ინუ; 60. აზიმუტი; 61. ფეტვა; 62. ბია; 63. ასი; 64. ტენორი; 65. ლია; 66. ბოსხი; 67. ტიბალტი; 68. იოკაი; 69. შუ; 70. მზია; 71. ელფი; 72. აბო; 73. ირაო; 74. დოსიე; 75. გურუ; 76. ვაიდა; 77. ისიანი; 78. ამია; 79. გო; 80. ბიურო; 81. ხაო; 82. სირინოზი; 83. რიფი; 84. ური; 85. პოლ;, 86. ურო; 87. „ნიკორა“; 88. პიო; 89. იონი; 90. კუ.

ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲦᲕᲘᲜᲝ ᲩᲐᲛᲝᲣᲡᲮᲔᲡ

კომპანიებმა Fetzer label და Mendocino Wine Group ღვინის მოყვარულებს მოულოდნელი სიურპრიზი გაუკეთეს. მათ თავსატეხების მოყვარულებს საშუალება მისცეს, ძვირფასი სასმელიც მიირთვან და ამავდროულად თავი სხვადასხვა რებუსებითა და გამოცანებით შეიქციონ. ახალ ღვინოს „პაზლის დრო“ ეწოდება, რომლის ეტიკეტზეც კროსვორდია დაბეჭდილი. მასზე რამდენიმე სიტყვაა დაშიფრული. ღვინის მოყვარულებმა სწორედ ეს კოდირებული სიტყვა უნდა აღმოაჩინონ. ვინც არ აპირებს ამ თავშესაქცევით გაერთოს, დაღლილია ან ვერ ამოხსნა კროსვორდი, მათთვის ბოთლის მეორე მხარეს მიკრულ ეტიკეტზე მინიშნებები და სწორი პასუხებიცაა დაბეჭდილი.



1. მწყრის მართვე
2. უდედმამო ბავშვი
3. ძვირფასი ქვა
4. მეხიკოს მთავარი სტადიონი
5.დაუქორწინებლობა კათ. სამღვდელოებაში
6. ძველებური საწერი მასალა
7. იგივეა, რაც ღილი
8. სცილას მეწყვილე ურჩხული
9.ფრჩხილის ბუდის ანთება
10.კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი
11. ქალაქი ავსტრალიაში
12. ცხენოსნობის უძვ. ქართ. სახეობა
13. მეტყველების ნაწილი
14.ჭურნალობის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
15. ესპანეთის პროვინცია
16. კანტორა, სამმართველო
17. კამერუნის დედაქალაქი
18. ვაზების მწკრივი ვენახში
19.მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
20. ქსოვილისგან დამზადებული დროებითი საცხოვრებელი
21. იაზონის ხომალდი
22. მდინარე ვარშავაში
23. სასიამოვნო რამეზე ფიქრი
24.მეომარი ქალწული სკანდინავიურ მითოლოგიაში
25. წონის ერთეული ძველ რომში
26. საგანგებოდ დამუშავებული ხის სოკო
27. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
28.ეკონომიკ. სანქციების ერთ-ერთი სახეობა
29. ხელოვნური ბოჭკოს ნაირსახეობა
30.გრძელი წვეტიანი ყინული სახურავზე
31. ინდური კობრა
32.აღმოსავლ. ორთაბრძოლა
33. რძის ცხიმი
34. ირანის მეფის ტიტული
35. აშშ-ის ქალაქი ...-ანაელესი
36. საგაზაფხულო ხორბალი
37.ყურანის ცალკეული თავი
38. ავსტრიელი პოეტი
39. კომპიუტერული საძიებო სისტემა
40.ინგლის. მეზღვაური და მეკობრე
41. ქალის ვარცხნილობის ტიპი
42.რუსული თვითმფრინავის მარკა
43. სტენდალის ნამდვილი გვარი
44.თავადის ტიტული ინდოეთში
45. ამერიკული ავტომარკა
46.ჯუზეპე გარიბალდის რომანი
47.მდინარე ჩრდილოეთ ამერიკაში
48.საგნის მონახაზი, კონტური
49.უმცირესი ორნიშნა რიცხვი
50.ფრინველების ქცევა გამრავლების პერიოდში
51.საჭმელი სოკოს სახეობა
52. ჯუჯა კამეი
53. ისტორიის მუზა
54. მზის ამოსვლა, გარიჟრაჟი
55. მთავარი საწყობი
56.მარჯნის კუნძული
57.შლამის თევზი
58. მეფე დავით VI-ის მეტსახელი
59. ჭადრაკის ფიგურა
60.სანელებელი მცენარე
61.თოვლის ჯაცი
62.ქალაქი ინდოეთში
63.ადამიანის-მსგავსი მაიმუნი
64. იტალიური ხალხური ცეკვა
65.ინგლის. ფეხბურთის მეგავარსკვლავი
66.მაღალი ძელი იალქნისათვის გემზე
67. ირლანდიელი მწერალი ჯეიმს ...
68. მძიმე შრომა
69. მუშაობის ერთეული
70. წილი საერთო საქმეში
71. იტალიური პისტოლეტის მარკა
72. ჩინური ტანვარჯიში
73. პირამიდების ქალაქი ეგვიპტეში
74. დიდი გამანადგურებელი ცეცხლი
75. ანტილოპას სახეობა
76. ტექნიკური ზეთი
77. იგივეა, რაც სვირინგი
78. მთის მასივი ბულგარეთში
79. ირლანდიის თვითსახელწოდება
80. მდინარე იტალიაში
81. გასულ წელს ანუ ...
82. ჩვილი ბავშვის პირველი „სიტყვა“
83. ქალაქი საბერძნეთში
84. გაზაფხულის ყვავილი
85. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში
86. ლორწოვანი გარსის ზედაპირული დეფექტი
87. მოუხარშავი ან შეუწველი
88. მხატვრული ჟანრი ფერწერაში, რომელიც ასახავს ადამიანის შიშველი სხეულის სილამაზეს

ქვეყნის ლიდერი ტუალეტის ქაღალდზე

ჩინეთის ხელისუფლებამ 7,6 ათასი რულონი ტუალეტის ქაღალდი ამოიღო, რომელზეც ჰონგკონგის ადმინისტრაციის ხელძღვანელის გამოსახულება იყო დაბეჭდილი. როგორც ადგილობრივი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, ტუალეტის ქაღალდის გაყიდვა ჩინური ახალი წლის დღესასწაულის დროს იგეგმებოდა ერთჯერად ცხვირსახოცებთან ერთად, რომელზეც ასევე ჰონგკონგის ლიდერი იყო გამოსახული. მათი თქმით, შარშან, ამგვარმა აქციამ ოპოზიციურ პარტიას 12 ათასი დოლარი მოუტანა, წელს კი უფრო მეტ შემოსავალს ვარაუდობდნენ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.